№ 32
პარასკევი 8 თებერვალი 1902 წ.

გაზეთის ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.
„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877-1902

ივერია

№ 32
პარასკევი 8 თებერვალი 1902 წ.
რედაქცია
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კაპ.
მეოთხეზედ—5 კაპ.
ექვთიმე ხელაძის სტამბის „ტელეფონი“ № 838

62
ეროვნული ბიბლიოთეკა

შაბათს, 16 თებერვალს, გარდახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი
თავადის რაფიელ დავითის ძის

ერისთავის

სულის მოსახსენებლად სოფ. ქისტაურს. ასულნი და სიძენი განსვენებულისანი აუწყებენ ამას ნათესავთ, ნაცნობთ და მის პატივის მცემელთ. (3—ნ.—1)

1 თებერვლიდან წლის დამლევამდე გაზეთი

„ივერია“

ღირს ცხრა მანეთი და ათი შაური (9 მ. და 50 კ.)
ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (ნიკოლოოზის ქუჩა № 21) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებ. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა)
ქუთაისში:—ბეჟანნეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზია.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ. ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ)
ხონში:—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
შორაპანში—პართენ ნასიძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება ქუთაისსა და ხონში ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“. ტელეფონი № 227.

ქართული თეატრი.
შაბათს, 9 თებერვალს, 1902 წ.
ქართულის დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ
წარმოდგენილი იქნება
ვლ. სარ. ალექსი-მესხიშვილის
მონაწილეობით

ახალგაზრდა მსახიობთა საბენეფისოდ

I

ედმონდ კინ

კომედია 4 მოქმედ. დუმასი.

II

არივ-დარივა

კომედ. 1 მოქმედ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ჩერქეზიშვილი, ლეჟავა, ნებიერიძე, მდივანი; ბ-ნნი: ალექსი-მესხიშვილი, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, ურუშაძე, იმედაშვილი, მირიანაშვილი, სარჯველაძე, იორდანოვი.

დასაწყისი 8 საათზედ.

ფასები ჩვეულებრივია.

მზადდება „**მეფე ლირი**“, „**მალა ადმართს ჯვნავს**“.

ექიმი
ვახტანგ ღამბაშიძე

სწამლობს შინაგანს და საბავშვო სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილის 9 საათიდგან 11-მდე და საღამოს 5 საათიდგან 7-მდე. რეუტის ქუჩა № 24.

ტყის უფროსის თანაშემწე

(Пом. Лѣсничъ.) რომელსაც, სპეციალურ ცოდნის გარდა, აქვს 12 წლის პრაქტიკა ტყეებისა და მამულების მოვლა-გამგეობისა და აგრეთვე მისი მეუღლე, გიმნაზია-დამთავრებული მასწავლებელი ქალი, ეძებენ შესაფერს ადგილს კერძო მემამულეებთან ადგილობრივ ან პროვინციაში. ადრესი „ივერიის“ რედაქცია. (3—288—2).

იაკობ ზაქარიას ძე ბძელიშვილი
ექიმი

სწამლობს სიფილისს და შინაგან სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 5—7 ს. აქვს შესახვევი მასალა. ავჭალის ქუჩა, № 85.

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ.

ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

ხელ-ახლა დაურიგდა გასასყიდად ყველა წიგნის მაღაზიებს ქართული

კედლის კალენდარი

ფასი ექვსი შაური.

(2—281—2)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. საკოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი: 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ყელთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, თვალისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბკოვი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შაპკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.

ბ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7½ ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაურია, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана
Тифлисъ, против. памят. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.
ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).
კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ. გარდა ხუთშაბათისა და შაბათისა.

ე. ბ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა 9—10 ს.

ბ. ბ. მაღალაშვილი. შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი. კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

კ. მ. ელიოზიშვილი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა. 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი. ნერვებისა და შინაგანი. 12—1 ს.

ა. ბ. ბარსუკოვი. დედათა სნეულბანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

სტ. ა. ვოინო. ხირურგია. ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.

ბ. მ. ამბარდანოვი. სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

ა. ბ. მაღალაშვილი.—შინაგან და ბავშვებისა. 5—6 საათ.

ბ. ს. დავიდოვი—ბავშვებისა და შინაგან სნეულებათა. 7—8 საათ.

კვირაობით:

ბ. ბ. მაღალაშვილი.—10—12 ს. შინაგან ამადმყოფობათა.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ როინაშვილისეულ ფოტოგრაფიისთვის, რომელიც ღირს ქმნილია უმაღლეს იმპერატორებრივ ჯილდოსა, მოწვეულია ახალი გამგე. შეიძლება შეკვეთა ყოველგვარი ფოტოგრაფიულის სურათისა, რომელიც თავისს დროზე და გულმოდგინებით მზადდება. ფასები ყველასათვის ხელმისაწდომია, ხოლო მოსწავლეთათვის შეღავათიანი. ფოტოგრაფიას, რომელიც ყოველდღე ღია არის დილის 9 საათიდგან საღამოს 5 საათამდე, მრავლად მოეპოება მუშტართათვის საქართველოსა და კავკასიის შესანიშნავის ადგილებისა, ტიპებისა, მოღვაწეთა და ძეგლთა სურათები.

(3—1)

ადრესი,

წაკითხული ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ. მელიქიშვილის მიერ ხელმწიფე იმპერატორის წინაშე იანვრის 31-ს საზამთრო სასახლეში, როცა ქართველთ თავად-აზნაურობის დეპუტაცია წარუდგა მისს უდიდებულესობას.

„თქვენო იმპერატორებითო უდიდებულესობავ!

აზიის საზღვრად, საქრისტიანოსაგან განშორებული, რიცხვ-მცირე, მაგრამ სულითა და სარწმუნოებით მტკიცე საქართველოს პატარა სამეფო თექვსმეტის საუკუნის განმავლობაში ნაკადულებრ ჰღვრიდა თვისთა შვილთა სისხლს, მხნედ ეპყრა ცხოველმყოფელი ჯვარი ღვთაებრივის მხსნელისა და უვნებლად გადაარჩინა მეცხრამეტე საუკუნის დამდეგამდე წმიდა დროშა მართლ-მადიდებლობისა. მტრის სიმრავლით ძალა-მიხდილი, შედრკომად მზად მყოფი ქრისტეს სარწმუნოების მტერთა ზედ მოსევისაგან წინაპარნი ჩვენნი თვისთა მეფისა მოთავეობით და მათთან ერთად მთლად ერი ივერიისა მიიქცა ხსნად რუსეთის თვითმპყრობელისა მიმართ. ხმა მრავალტანჯულის ერისა „შეისმინა გვირგვინოსანმა“ ღვთისა ცხებულმა და არ ინება გაეწირა ნათესავი ერთ-მორწმუნე, რომელმაც ხვედრი თვისი ჩააბარა რუსეთის სულგრძელ მფარველობას, არ ინება გაწირვა მისი და კისრად იდვა ტვირთი საქართველოს სამეფოს გამგეობისა არა ძალთა თვისთა გასაძლიერებლად, არა ანგაარებისათვის, არა განსავრცელებლად ისედაც ვრცელის იმპერიის საზღვართა, არამედ კაცთმოყვარებისათვის, ჰირვებულთა მწუხარების განსარინებლად“. ჩვენის დიდის სამშობლოს ბედის თვითმპყრობელ გამგებელის საღმრთო ნებისამებრ რუსეთის დიდებულმა ერმა, თვისის მხედრობის სახითა, ძლიერ ტალღასავებრ განვლო ფართოდ გაღებული ერთმორწმუნე ძმათა ხელით დარიალის ვიწროების კარი ძლევა-მოსილის მსვლელობისათვის აზიის შუაგულამდე დასახსნელად მართლ-მადიდებლობისათვის ხანგრძლივ მებრძოლთა. უმაღლესი წოდება და მკვიდრნი ღვთისა დედისა წმიდა წილ-ხვედრისა მთელის საუკუნის განმავლობაში სახავდნენ თვისის სამშობლოს სიკეთეს და ბედნიერებას მხოლოდ რუსეთის წინამძღოლთა ძლიერ მარჯვენას და დაახლოვებულს, მტკიცესა და შეურყეველს ერთობას რუსეთის თავად-აზნაურობისა და ერისათანა. და გრძნობათა თვისთა სიწმინდე სისხლით აღბეჭდეს რუსეთის მხედრობის წმიდა დროშათა ქვეშე სამებად სახსენებელის სიწმიდისათვის,—სარწმუნოებისა, მეფისა და სამშობლოსათვის და განამტკიცეს იგი გრძნობანი ასლანდუზისა, ბაშყადიკლარისა და ყარსის გმირთა ჩვენთვის წმიდა და ძმურს სამარეთა შორის.

განუსაზღვრელ მონარქებრივის მოწყალებით აღსავსე თქვენმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამან კეთილ-ინება აღენიშნა ასის წლის შესრულება საქართველოს სამეფოს შეერთებისა რუსეთის იმპერიასთან აურაცხელის ურვებითა საქართველოს ერისა და უმაღლესის წოდების მოზარდ თაობის არსებით საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ტახტის კვარცხლბეკიდან თქვენმა უდიდებულესობამ კეთილ-ინება და აუწყა ქვეყანას, რაოდენ უცვალებელი იყო ასის წლის განმავლობაში ერთგულება რუსეთის ხელმწიფეთა და თვის ახალ სამშობლოს მიმართ თავდავიწყებამდე გულადის თავად-აზნაურობისა და ქართველთა ერისა, რომელიც ჰღვრიდა სისხლსა თვისსა რუსეთის უძლეველ მხედრობასთან ერთად საერთო სიკეთისათვის. განუზომელია ბედნიერება ერთგულ ქვეშევრდომთა, რომელთაც დაუმსახურიბიათ მაღალ-მოწყალე დაფასება დიდებულის რუსეთის ერის ფიქრისა და გრძნობის თვითმპყრობელ მზრახველისაკან. მაგრამ გული ღვთისა ცხებულისა დიდისა მოწყალებითა თვისითა არ დაჯსერდა განუზომელს უხვებასა თვისსა და ერთგულისა თვისისა ქართველის ერის ხსოვნასა.

თქვენმა უდიდებულესობამ კეთილ-ინება და აირჩია საიმპერატორო სახლეულობის უხუცესი წევრი, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოოზის ძე თვის წარმომადგენელად და კეთილ-მაუწყებლად საქართველოს რუსეთთან შეერთების ასის წლის თავზედ გამართულ დიდ-მნიშვნელოვან დღესასწაულების დროს. დანიშვნა მიხეილ ნიკოლოოზის ძისა, კავკასიაში გამგებლად ნამყოფისა, რომელსაც მამობრივის მზრუნველობით ჰქონდა მიპყრობილი ყური ჩვენის ქვეყნის მამა-პაპათა ანდერძთათვის, რომელიც ყურად-იღებდა ჩვენსა უმცირესსა საჭიროებასაც-კი და ძალითა ყოვლად ძლიერისა სიყვარულისა და ნდობისათა ძიგვიძლვოდა სულიერის ერთობისადმი დიდს ჩვენ სამშობლოსათანა, იყო დამაგვირგვინებელ ყოვლად-მოწყალე მეფურის ყურადღებისა თქვენითა ქართველ თავად-აზნაურობისადმი.

თვითმპყრობელო ხელმწიფეო! აუარებელია, განუზომელია უხვებანი, სათნოებანი და წყალობანი რუსეთის გვირგვინოსანთა ქართველ ერისა და თავად-აზნაურობის მიმართ, განუზომელია კეთილმოწიწებითნი, საზღვარ-დაუდებელნი ერთგულ ქვეშევრდომითნი გრძნობანი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობისანიც. ღრმად შთაბეჭდილია გულთა შინა ჩვენთა სიტყვანი იმპერატორის ალექსანდრე კურთხეულის ყოვლად-უმოწყალესის მანიფესტისანი. აღმოუხოცელია დიდებული სახე იმპერატორის ნიკოლოოზ პავლეს ძისა, რომელმაც ჟამსა ლაშქრობის სიავისასა, თვისის მობრძანებით გააბედნიერა შორეული ჩვენი ქვეყანა. საუკუნოდ სახსენებელია სახელი განმანთავისუფლებელისა მეფისა გულსა შინა განთავისუფლებულის ერისა და მისის თავად-აზნაურობისა, რომელსაც თვისისა დიდისა მოწყალებითა იმპერატორი ალექსანდრე II უწოდებდა ხოლმე „ჩემნი ქართველნიო“. თითოეულის ქართველის გულს ღირს-სახსოვრად მიაჩნია მეფური სიტყვანი მეფისა-მშვიდობის მყოფელისა, რომელმაც საბადურის უღელტეხილზედ აუწყა ქვეყანას, რომ სამშობლოს მამის გულს ერთნაირად ძვირფასად მიაჩნია ინტერესები ქართველთა და რუსთა თავად-აზნაურობისა. კეთილ-მოწიწებით წარმოითქმის შორეულ განაპირა ქვეყანაში სახელნი რუსეთის წინამძღოლთა, რომელთაც შეივრდომეს თვისსა სავანესა ქვეშე წმიდა წილ-ხვედრი ღვთისა დედისა და უკუნისამდე კურთხევით იქმნება მოხსენებული, ვიდრე სცოცხლობს ერთიც არის ქართველი, წმინდა სახელი თქვენის უდიდებულესობისა, რომელმაც საყოველთაოდ აღნიშნეთ მცირედნი ღვაწლნი წინაპართა ჩვენთანი. თავად-აზნაურობა ტფილისის გუბერნიისა, ერთგული მათის ანდერძისა, ჰბედავს და წინაშე ფერხთა თქვენთა ჰფენს იმ შეურყეველ ერთგულებას ტახტისა და სამშობლოსადმი, რომლითაც მხურვალედ სცემს და საუკუნოდ არ მოიშლის ცემას გული ძველთაგანვე მეფის მოყვარულისა და მართლმადიდებელის საქართველოსი“.

მიწის ძვრის ამბები.
შემახა.

** მიწის ძვრისაგან დაზარალებულ ოფიცრების ოჯახებისათვის ბაქოში მყოფ სალიანის პოლკის ოფიცრებს გაუგზავნიათ 4 ამ თვეს ორი ურემი და ერთი ფურგუნი სასმელ-საჭმელი და ყველაფერი, რაც საჭიროა ჰრილობების შესახვევად. გარდა ამისა, ტელეგრამით სთხოვეს შემახის პოლკის კომანდირს გაგზავნოს ბაქოში ოფიცრების ცოლ-შვილნი, რომელთაც მოუმზადებენ ოფიცრების კლუბის ოთახებს სადგომად და ეცდებიან ყოველმხრივ შველი შეუწყონ.

** ბაქოს პოლიცმეისტერს 3 ამ თვეს გაუგზავნია შემახელთათვის 28 ურემი გამომცხვარი პური, 50 რკინის კავები, 100 ნიჩაბი, 30 წერაქვი, 20 ლომი, აგრეთვე ტარები კავებისა, ნიჩბებისა და წერაქვებისათვის. გარდა ამისა, შემახელებსვე გაუგზავნეს 1 ფარდული, 9 კარავი, 26 საბანი, რკინის კრაოტები, ლეიბები და სხვა საჭირო ნივთები.

** ბაქოს კრედიტის საზოგადოების მმართველობას დაუდგენია, რომ თავისის და აგრეთვე გამგეობის ჯამაგირიდგან ყოველთვიურად გამორიცხოს 2% მიწის ძვრისაგან დაზარალებულ შემახელთა სასარგებლოდ. შეწირულება თავ-თავისს დროზე გაეგზავნება ბაქოში დაარსებულ შემახელთა დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარეს.

** ბაქოში აპირებენ რამდენსამე წარმოდგენას შემახელთა სასარგებლოდ. სხვათა შორის, არტისტულ საზოგადოებაში აპირებენ წარმოადგინონ თ-დის სუმბათოვისა და ნემირ.-დანჩენკოს პიესა „შევარდენნი და ყვავები“.

** ნანგრევებიდგან ამოღებულ მკვდრების რიცხვი „ნოვ. ობოზრ“. კორესპონდენტის სიტყვით, ხუთი ათასამდე ასულა. წვიმს, მიწა ახლაც იძვრისო.

** მიწის ძვრის დროს შემახაში ნამყოფი ბ-ნი ნ. ციციშვილი „ცნ. ფურ“-ს, სხვათა შორის, სწერს: უმთავრესი ყურადღება „ჯერ აბანოებზეა მიქცეული და აბანოების ნანგრევებს სთხრიან. გუშინ, თებერვლის 2-ს, ამოიყვანეს ერთი ბავშვი 12 წლისა. ტახტის ქვეშ იყო მოქცეული და როცა გასთხარეს და ამოიყვანეს, დაიწყო სიცილი და სახლისაკენ, გაექანა, მაგრამ სახლის ნაცვლად ნანგრევები დაჰხვდა“. „შემახის ერთი მდიდარი ვაჭარი საღამოვი შემხვდა და შემომტირა: „ჩემი მილიონის შეძლებიდგან გადავრჩი მარტო მე და ჯიბეში მხოლოდ ოთხი მანეთი შემრჩა, და ჩემი შეძლება ეხლა ეს-ღა არისო“...

** ცნობილს ქველ-მოქმედს ჰაჯი-ზეინალ აბდინ თაღიევს კიდევ შეუწირავს 4,000 მანეთი შემახელ დაზარალებულთათვის.

** „კასპის“ სიტყვით დღე-მუდამ აუარებელი ხალხი ჩადის ბაქოში შემახიდგან. ბაქოელნი ძმურად უხვდებიან გაჭირვებულებს და ყოველ-ნაირად ხელს უწყობენ მათ.

ბაქოდგანაც ბევრნი მიდიან თურმე შემახაში იქაურ ნათესავ-მეგობრების თავ-გადასავალის გასაგებად. დიდს გაჭირვებას თურმე იტანენ გზაზედ შემახაში მიმავალნი. ბაქოდგან ორი გზა არის შემახამდე: ერთი რკინის გზით ქურდამირამდე და იქიდგან შოსსეთი დილიჯან-ფაეტონებით, მეორე 114 ვერსის მანძილის შოსსე, პირდაპირ ბაქოსა და შემახას შუა. პირველი გზით ვინც მიდის, მთელი დღეობით უხდება ქურდამირის სადგურზე ცდა, რადგანაც ვერც დილიჟანსა და ფაეტონს და ვერც ცხენებს ვერ შოულობენ, იმდენია მგზავრები. ისევ ამჯობინებენ მეორე გზით წასვლას ცხენითა და ფაეტონებით.

** ხელმწიფე მემკვიდრემ, დიდმა მთავარმა მიხეილ ალექსანდრეს-ძემ ინება შეეწირნა შემახელ დაზარალებულთათვის ათასი მანეთი.

** შემახაში მიდიან მოსკოვის მანუფაქტურის ფირმების წარმომადგენელნი, რომ ადგილობრივ შეამოწმონ რამდენად დაღუპულნი არიან მათი იქაური მუშტრები— ვაჭრები, რომელთაც დიდი კრედიტი ჰქონიათ მოსკოვში.

** კავკასიის საინტენდანტოს უფროსის განკარგულებით შემახელებს გაუგზავნეს 3,000 ფუთი პურის ფქვილი 42 ფურგუნით.

** ბაქოს ქალაქის კრედიტის საზოგადოების გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის შეერთებულ კრებას გარდაუწყვეტია

500მანეთით შეეწიონ შემახის დაზარალებულთ. ეს გარდაწყვეტილება წარედგინება დასამტკიცებლად ხსენებულის ბანკის რწმუნებულთა კრებას მარტის 16-ს.

⁂ ბაქოში მყოფის რუსულ დრამატიულ ტრუპის გამგეს ბ-ნს კრასნოვს გარდაუწყვეტია შემახელთა სასარგებლოდ გადასდვას ყოველ წარმოდგენის მთელი შემოსავლიდგან 5%.

⁂ ჰაჯი-ზ.-აბ. თაღიევის თაოსნობით და თავმჯდომარეობით დაარსებულ კერძო კომიტეტის წევრებს ბაქოს დუქნებსა და ბაზრებში შეუკრებიათ შემახაში დაზარალებულთა სასარგებლოდ 4 და 5 თებერვალს 897 მან. და 26 კაპ.

იმავ კომიტეტს, შემახაში წინად გაგზავნილ ნივთებისა და სანოვაგის გარდა, უყიდია კიდევ: 200 ბალიში, 257 საბანი, 21 ლეიბი, 525 მოკლე ქურქი, 302 შარვალი, 438 ნიფხავი, 664 ჩითის პერანგი, 128 ბამაზეს პერანგი, 8 წყვილი ბავშვის ტანისამოსი, 17 ჟილეტი და სხვ.

⁂ ბაქოს კლუბმა შესწირა შემახელ დაზარალებულთ 1000 მან., ჩრდილოეთის დამზღვევ საზოგადოების აგენტმა—500 მან.

⁂ იმავ კომიტეტში კერძო შეწირულება შესულა თებერვლის 1-დგან 5-მდე სულ 2,659 მან. და 32 კაპ. („კასპი“).

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

⁂ დრამატიულის კომიტეტის წევრებისა და ქართულ ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენლებისაგან შემდგარმა კომისიამ 6 თებერვლის სხდომაზე დაადგინა, რომ ვ. აბაშიძის იუბილე გადაიხადონ მარტის 10-ს. როგორც შევიტყეთ, პროვინციებში უკვე შესდგომიან ამ იუბილესათვის მზადებას.

⁂ გუშინ სათავად-აზნაურო თეატრში სომხურმა დასმა ითამაშა ვ. გუნიას „და-ძმა“. პიესა საზოგადოდ კარგად იყო წარმოდგენილი; საუცხოვოდ შეასრულეს ტყვეებმა სიმღერები. თეატრი სავსე იყო.

⁂ ტფილისში დღემდის მშვენიერი, საზაფხულო ამინდი იდგა; წუხელის წვიმა დაიწყო და დღეს-კი წვიმას თოვლიც მოჰყვა.

⁂ ტფილისში აპირებენ შემახაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ გამართონ: 1) ამ თვის 9 ლექციის კითხვა (მეორე) გოგოლის შესახებ (ბ-ნი დოროთეევი), და 2) თებერვლის დამლევს კონცერტი (ბ-ნ ყარა-მურზასი).

⁂ მიწათ მოქმედების სამინისტრო კავკასიაში აგზავნის მცოდნე კაცებს, მათ შორის რამდენსამე ცნობილს პროპესორს-ბაქტერიოლოგოსს, რომელთაც უნდა გამოიკვლიონ ჯერ გამოუკვლეველი მადნის წყლები და ისეთი სამაგალითო ჰავიანი ადგილები, რომელნიც სამკურნალო კურორტებად გამოდგებიან.

⁂ შემახიდგან ტფილისში ჩამოვიდნენ მშვიდობით გადარჩენილნი: იქაური მომრიგებელი მსაჯული ნ. შნეიდერი, ჩვენი სცენის არტისტი ქალი ქ. ანდრონიკაშვილი და ბ-ნი მამალაძე.

⁂ ბევრს სასარგებლო დაწესებულებას აკლია ისე ჰკვიანად მოსაზრებული ორგანიზაცია და მხნე მოქმედება, როგორიცა აქვს უჩინ-მაჩინის ქუდით მოსილს იმ წრეს, რომელიც ამ ბოლოს ხანს სისტემატიურად სძარცვავს ბარგის მატარებლებს. ჯერ არ ყოფილა მაგალითი ჩვენს რკინის გზაზე, რომ რომელიმე საყურადღებო გაქურდვა დიდ-ძალის საქონლისა გამოეკვლიოსთ ისე, რომ ქურდები აღმოეჩინოთ. „კასპის“ სიტყვით, ამ დღეებშიც მომხდარა ასეთი საყურადღებო გაქურდვა ბარგის მატარებლისა. ტფილისიდგან ევლახში ერთს ვაჭარს გაუგზავნია ჰილობში გახვეული ორი დიდი ყუთი ვერცხლის ნივთები. ევლახში მიმღებს მოუთხოვნია ყუთის აწონვა და შემდეგ გახსნაც. წონა ნამდვილი გამომდგარა, ხოლო ყუთზედ დაჭედილს ფიცრებს გამგზავნის დამღა აღარ ეტყობოდა. ჰილობი რომ შემოაცალეს, ნახეს მხოლოდ ერთი ყუთი, მეორე-კი დაკარგულიყო. დაჭედილ ფიცრებზე „კავკასისა და მერკურის“ ტფილისის კანტორის დამღის ნაცვლად დაკრული ჰქონდა იმავე საზოგადოების ერევნის კანტორის დამღა. თვით ყუთში-კი ვერცხლის წილ აგურები ეწყო. დამნაშავეთ დღესაც ეძებენ...

⁂ იაფ-ფასიან საბავშვო წიგნების გამომცემელ ქალთა საზოგადოება საბავშვო ზღაპრებს აბეჭდვინებს ჩინებულის ილიუსტრაციით, საგანგებოდ ამ გამოცემისათვის გაკეთებულით.

⁂ გუშინ-წინ თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თავ. დ. ზ. მელიქიშვილმა დეპეშით შეატყობინა, რომ საპატიო დარაჯთ უმაღლესის ბრძანებით მილიციის პრაპორშჩიკობა ებოძათ და აფიცრებს, რომლებიც იყვნენ საპატიო დარაჯებათ, მორიგი ჯილდოებიო. ასეთივე წყალობა ქუთაისის გუბერნიის საპატიო დარაჯთაც ებოძათ.

იმერეთის ამბები:

⁂ ამ ჟამად ქუთაისში, როგორც მოგეხსენებათ, ორი წიგნთ-საცავ-სამკითხველო არსებობს: ერთი ქალაქისა და მეორე განსვენებულის ეპისკოპოსის გაბრიელის სახსოვრად დაარსებული ელ. ჯინოვის თაოსნობით. უნდა გამოტეხილად გითხრათ, რომ არც ერთში არ არის ხეირიანად წესი დაცული. ადრე დახურვა, გვიან გაღება ამ ბიბლიოთეკებისა — ჩვეულებრივი მოვლენაა. ამას გარდა ვერც ერთს ბიბლიოთეკაში, განსაკუთრებით მეორეში, ახალს ჟურნალ-გაზეთებს ვერ იპოვით. ორთავე ადგილას მეთვალყურეები ფოსტას აბრალებენ ამას, მაგრამ ეს თავის მართლება სარწმუნო არ არის, რადგანაც ქალაქში ყველა თავისს დროზე იღებს ჟურნალ-გაზეთებს. წიგნების მეტი ნაწილი დაძველებული და დახეულია და ითხოვს ახალის შეძენას, მაგრამ ამას ჯერ არავინ აქცევს ჯეროვანს ყურადღებას.

ᲓᲠᲝᲐ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲨᲔᲕᲣᲓᲒᲔᲗ.

სულ სამი-ოთხის თვის შემდეგ დანიშნულია ტფილისის ქალაქის არჩევნები.

უკანასკნელს ორს არჩევანზე ზედი-ზედ დაგვამარცხეს სომხებმა და იმ მდგომარეობამდისაც-კი მიგვიყვანეს, რომ ფარ-ხმალი დავყარეთ. დავინახეთ, რომ ძლიერ მცირენი ვიყავით და სუსტნი, მოწინააღმდეგეთ ვერ გავუმკლავდებოდით და შევჩერდით. მაგრამ ეგ როდი იყო სამუდამოდ დამორჩილება და ბრძოლის უარყოფა...

დრო არის ეხლა, გამარჯვებულებმაც და დამარცხებულებმაც თვალი გადავავლოთ წარსულს, გავითვალისწინოთ მომავალი და გამოვიკვლიოთ, ისევ ძველის გზით ვივლით, თუ ჩვენს შორის ახალის ურთიერთობის დამყარებას შევუდგებით. პირდაპირ შევხედოთ საქმის მდგომარეობას, თვალი გავახილოთ და მეტი შორს-მხედველობა და მიუდგომლობა გამოვიჩინოთ, ვიდრე აქამდის ვიჩენდით. ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ დღევანდელი დღე ხვალეთი შეიცვლება. დღევანდელი უპირატესობა როდი მოასწავებს ვისმეს გამარჯვებას მომავალშიც.

დამარცხებულები, უფლება-ჩამორთმეულები ჩვენა ვართ, ქართველები და რას ვითხოვთ, რომ გავუთანასწორდეთ მოწინააღმდეგეებს, რაზედ ვამყარებთ ჩვენს მოთხოვნილებას?

ტფილისის ქალაქის მეურნეობა დღეს ყველგან საყვედურს იწვევს. მცხოვრებთა უპირველესი საჭიროებანიც-კი დაუკმაყოფილებელი რჩება: სუფთად და უტალახოთ მხოლოდ შიდა ქალაქის ქუჩებია; მცირე ქალაქებმაც-კი ელექტრონის ან გაზის განათება შემოიღეს, ჩვენში-კი ისევ ძველის ძველი ნავთის ფარნები ბჟუტავს; სავაჭრო ადგილებისა და ბაზრების სანიტარულს მდგომარეობას არავითარი გაუმჯობესება არ ეტყობა; ქალაქი ნაკლებად აარსებს სახალხო სკოლებს; ქალაქს დღემდის არ მოეპოვება საჯარო წიგნთ-საცავი ყველგან; ევროპაში-კი არა, რუსეთშიაც-კი ქალაქებს ხელთა აქვთ ხორცითა და პურით ვაჭრობა, დამართული აქვთ საჯარო აბანოები, თეატრები; ქალაქები აშენებენ სახლებს და იაფად აქირავებენ შეუძლებელ მცხოვრებლებს.

სწორედ გაკვირვებაში ხართ, რომ უყურებთ, თუ როგორის ჩქარის ნაბიჯით მიდის წინ მუნიციპალიტეტი სხვა-და-სხვა საჭიროებების დაკმაყოფილების განსაზოგადოებრივების გზაზე. არ არის ისეთი მოთხოვნილება, რომელიც არ შეეძლოს ქალაქს დააკმაყოფილოს უფრო იაფად და უკეთესად, ვიდრე კერძო კაცს ან დაწესებულებას. შვეიცარიაში ქალაქები ელექტრონის ძალას აწვდიან, არამც თუ ქალაქის, არამედ ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებთაც-კი. ყველაზედ დიდი სამსახური ქალაქების თვით-მმართველობამ ხელ-მოკლე და მუშა ხალხს გაუწია, რომელსაც გაუმართა იაფი სადგომები, სამზარეულონი, სხვა-და-სხვა გასართობნი...

ჩვენში-კი ხმოსნები საბჭოს სხდომებსაც არ ესწრებიან და ამის გამო ბევრის საქმის გადაწყვეტა და მმართვა-გამგეობა ადმინისტრაციის ხელში გადადის.

აქ იმის თქმა-კი არ გვინდა, რომ სომხები უნიჭონი არიან, უვარგისნიო. ღმერთმა დაგვიფაროს! მხოლოდ ასეთს მდგომარეობას დიდს სარგებლობას მოუტანდა ქართველების საბჭოში შესვლა მით, რომ მაშინ ორისავე ერის წარმომადგენელნი მოღვაწეობაში ერთმანეთს გაეჯიბრებოდნენ, ერთმანეთს ყურს დაუგდებდნენ, ერთი მეორეს შეცდომას არ შეაწევდა, ეცდებოდა ერთს მეორეზე უკეთესი საქმე მოეწყო, ერთი მეორეს ძილს დაუფრთხობდა და ამით საზოგადო საქმე წინ წავიდოდა, ქალაქის მეურნეობა სასურველად მოეწყობოდა ყველას საკეთილდღეოდ.

მაგრამ არის მეორე საგანიც.

რაც უნდა საუცხოვოდ მოაწყონ ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა ქალაქის საქმეები, თვით მზეც რომ ჩამოიღონ ზეციდგან და დაგვიდგან ღამის გასანათებლად, ქუჩები მარმარილოს ქვით მოგვიფინონ, ყველასათვის იაფი სასადილონი დაჰმართონ, სასახლის მზგავსი სკოლები აგვიგონ, მაინც არ ვიქნებით კმაყოფილნი, თუ დღევანდელი ვითარება არ შეიცვალა.

ჩვენ გვინდა ჩვენის ქალაქის მმართვა-მოწყობაში ჩვენც ვიღებდეთ მონაწილეობას — ჩვენც გვინდა თვით-მმართველობა.

საზოგადოება, რომელიც თვითონ არ იზრუნებს თავის თავისათვის და სხვის ხელში შემყურე იქნება, დაღუპულია, დამდგარია გადაგვარების გზაზედ და დღეს თუ ხვალ უნდა გამოეთხოვოს სიცოცხლეს.

ჩვენ-კი ცხოვრება გვინდა. ქართველები ტფილისში სამოც ათასამდე ვართ, ჩვენი რიცხვი ბევრით არ ჩამოუვარდება სომხების რიცხვს და განა ნება არ უნდა გვქონდეს, საკუთარის ინტერესებისათვის ვიზრუნოთ და ვიღვაწოთ?

ტფილისი მარტო აქაურს ქართველებს არ ეკუთვნის, იგი მთელის ქართველობის დედა ქალაქია. მთელი ჩვენი ისტორია ტფილისთან არის დაკავშირებული. რაც-კი რამ ძვირფასი გვქონია, აქა გვაქვს შენახული, აქა გვაქვს დამარხული... ამის დავიწყება იქნება ჩვენის თავის სრული დავიწყება, დავიწყება წარსულისა, აწმყოსი, მომავლისა, უარყოფა ჩვენის ვინაობისა.

ვერასოდეს ვერ შევურიგდებით იმ გარემოებას, რომ მოწინააღმდეგეებმა ამ ჩვენს დედა-ქალაქში შეგვლახონ, დაგვამცირონ, წაგვართვან ის, რაც ჩვენი უწმიდესი უფლებაა...

აი, მოკლედ და მარტივად გამოთქმული ჩვენი მოთხოვნილება. ჩვენ არ გვინდა ძალმომრეობა, არ გვინდა ვისმე რამ წავართვათ, ან რაიმე მოწყალება ვთხოვოთ!

არა, ჩვენ ვთხოულობთ მხოლოდ პატივი სცენ ჩვენს სამართლიანს უფლებას!

ქალაძე.

ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲐᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲝᲡᲘ 1901 ᲬᲚᲘᲡᲐ.

2 თებერვალს მოხსენდა საზოგადო კრებას ანგარიში ახალციხის ქართულის სახალხო სამკითხველოსი 1901 წლისა.

სამკითხველო დაარსებულია 1895 წ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ. განაგებს სამკითხველოს სამზრუნველო, რომლის თავმჯდომარედაა ქ-ნი კ. ს. მეფისაშვილი, წევრებად: ქ-ნი მ. ი. ბეთანელი, ქნ. თამარ გ. ვაჩნაძე, ქ-ნი ევ. გ. ასათიანი, მღ. ს. ქუჩულაშვილი, ა. თ. ყიფშიძე და ს. ს. ღვთისავრიშვილი.

სამკითხველოს დახმარებას უჩენს წ. კ. საზოგადოება წიგნებისა და ფულის გამოგზავნით, აგრეთვე უფასოდ უწერს ადგილობრივს ჟურნალ-გაზეთებს რუსულსა და ქართულს.

საანგარიშო წლის პირველ იანვრისათვის სამკითხველოს ჰქონდა: ქართული წიგნი 1016, რუსული 444. საანგარიშო წელს შეიძინა: ქართული 37 ცალი, რუსული 85.

საანგარიშო წელს სამკითხველოს ჰყავდა ხელის მომწერი 168, თვეში ორთა შუა რიცხვით 14. წიგნები გაუტანიათ 3,012. ჯერ. ქართული მოუთხოვიათ 1,986 ცალი და რუსული 1,026 ც. სამკითხველოს 1901 წ. მოსდიოდა: „ივერია“, „ცნ. ფურცელი“, „კვალი“, „მოამბე“, „მოგზაური“, „ჯეჯილი“, „კავკასი“, „ახ. მიმოხილვა“, „არგონავტი“. „ნივა“, „ნედელია“, „კავკაზსკი ვესტნიკი“, „ჟურნალ დლია ვსეხ“ და „ბირჟევია ვედომოსტი“.

საანგარიშო წელს შემოსულა სამკითხველოში 4,671 კაცი
(მამაკაცი 4,190
(ქალი 481
თვეში ორთა შუა რიცხვით შემოსულა:
(მ. კაცი 350
(დ. კაცი 40

შემოსავალი:

1) გასულის 1900 წ. დარჩომილა — 499 მ. 8 კ.
2) საწევრო ფული — 44 მან.
3) წიგნების გატანის ფასი — 14 მ. 10 კ.
4) დახმარება წ. კ. საზოგადოებისა 72 მან.
5) დღიურ მოსიარულეთაგან — „ 95 კ.
6) შემოწირულება — 37 მან.
7) წარმოდგენა — 111 მ. 83 კ.
8) წვრიმალი შემოსავალი — 11 მ. 12 კ.

სულ 790 მ. 8 კ.

ხარჯი:

1) სადგომის ქირა — 35 მან.
2) წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების ფასი — 40 მან. 14 კ.
3) ყდების ფასი — 17 მან.
4) განათება და გათბობა — 31 მ. 51 კაპ.
5) მოსამსახურის ჯამაგირი — 137 მ.
6) ფოსტისა დ კანცელარიის ხარჯი — 2 მ. 21 კ.
7) წვრილმანი ხარჯი — 1 მ. 81 კ.

სულ 264 მ. 81 კ.

თუ 1900 წ. დარჩენილ ფულს არ ვიანგარიშებთ, ხარჯმა გადაამეტა შემოსავალს 8 მ. 46 კ. დეფიციტი დაიფარა იმ ფულიდგან, რომელიც გადადებულია სამკითხველოს შენობის ასაგებად. ეს ფული არის 533 მან. 87 კაპ.

ახალციხის სამკითხველოს ისევე ემართება, რაც ყველა ჩვენს ქართულ საქველ-მოქმედო საზოგადოებას, ე. ი. წევრებად ხალისით ეწერებიან და შემდეგ საწევრო ფულს-კი აღარ იხდიან. სამკითხველოს თითქმის 45 წევრი ჰყავს, რომელნიც მოვალენი არიან წელიწადში 2 მ. იხადონ და 1901 წ. მხოლოდ 44 მ. შემოვიდა. ყველას რომ თვისი მოვალეობა აესრულებინა, დეფიციტი არ იქნებოდა და შემოსავალი ხარჯს გადააჭარბებდა.

დასასრულ, კრებამ სამზრუნველოს წევრებად აირჩია: ქ-ნი ნ. ი. ქიქოძე, ნ. ი. შიუკაშვილი, ი. დ. ყანჩაველი, მ. ვ. ჩოფიკაშვილი; მდივნად და ხაზინადრად ქ-ნი ნ. ი. ქიქოძე.

კრებამვე გარდასწყვიტა გამოეცხადოს ულრმესი მადლობა გრიგოლ იესეს ძე ბურჭუ-

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲒᲣᲠᲘᲘᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲐ „ᲨᲣᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ“.

„შენც წახდი, მეც წამახდინე,
ქრისტე აღსდგა! — გიხაროდეს!“

არავისთვის საიდუმლო არ უნდა იყოს, რომ მწერლობაში თუ ცხოვრებაში კრიტიკა პირველი საქმეა; ათჯერ გაზომვა და ერთჯერ გადაჭრა ჩვენს ხალხს ანდაზად უთქვამს და მით დაუკანონებია ჯერ წინ დახედვა და მერე ნაბიჯის წადგმა. მეტი არ იქნება ორიოდე სიტყვა გურიის სავაჭრო ამხანაგობის „შუამავალის“ შესახებ ვსთქვათ, თუმცა-კი გვიანაა, მაგრამ ჩვენი აზრი ახლა ის აღარ არის, სულთ-მობრძავს ამხანაგობას რეცეპტები ვუწეროთ, ან იმის გამობრუნების იმედი გვქონდეს. არა! „კუზიანს საფლავი გაასწორებსო“, და ეს საფლავიც მგონია ამხანაგობისთვის კარგა ხანია გაუმზადებიათ...

ჩვენი სურვილია, რამდენადაც შევძლებთ, აღვნიშნოთ, თუ რამ მიიყვანა სამარის კარამდე ეს ამხანაგობა, რომ მომავალში კიდევ სადმე ფეხი არ წავიმტვრიოთ: იქნება ბედმა იპრიანოს და ამისთანა საქმეები როდისმე კიდევ დაგვიარსდეს — და მაშინ ხომ ახლანდელ შეცდომების ცოდნა საჭირო იქნება.

მართლაც, დამაფიქრებელი და სევდის მომგვრელია სავაჭრო ამხანაგობათა ბედი ჩვენში. რა იმედებით, რა აზრითა და ზეიმით დაარსდა ქიზიყის დეპო-ბანკი, რომელმაც ასე სამარცხვინოდ დალია სული ამ ცოტა ხანში! გეხსომებათ გურიის „შრომა და კაპიტალი“, რომელიც თვალ-და-ხელ შუა გაგვეპარა. სულზედ მიმდგარია ტფილისის „შუამავალიც“ *) და ძაფზედ ჰკიდია გურულების ნუგეში, მეორე „შუამავალი“.

თითქოს რაღაც გადამდები სენიაო, ერთ-ორს წელიწადს ან სამს ბოგინობენ ჩვენი ამხანაგობანი და... მშვიდობით! ზოგიერთნი ბრძანებენ: ჩვენში ამხანაგობათათვის ნიადაგი არ არის, ვაჭრობა შეუძლებელიაო; მეორენი წამხდარ დროზედ გაცვეთილ ფრაზებს იშველიებენ: ვაჭრობაში წასაგები და მოსაგები ძმები არიან, ხან წავაგებთ, ხან მოვიგებთო.

განვიხილოთ ამათი აზრი. ნიადაგი არ არისო! როგორ თუ ნიადაგი, ვერ გამიგია! აიღეთ, ბატონებო, ორი ათასი მანეთი, მიეცით უკანასკნელ სოფლელ გურულს, რომელიც ჯერ გურიის საზღვრებს არ გასცილებია და უთხარით: ივაჭრე რამე და ფულს ფული მოაგებინეო. როგორ გგონიათ, რა მოუვა ამ გურულს? ჩვენი ცრუ ინტელლიგენტები, ვიცი, ახლავე მომაძახებენ: ან წააგებს, ან მოიგებსო, მაგრამ სანამ ამას იტყოდნენ, კარგს იზმენ, გარშემო მიიხედ-მოიხედონ და დაინახავენ, რომ ორი ათას მანეთს ჩვენი გურული წლის ბოლოს ორი ათას ხუთასად მაინც აქცევს. ამ გვარის მაგალითებით სავსეა ჩვენი მხარე. აიღეთ, რის ვაჭრობაც გინდათ: პარკი, სიმინდი, შეშა, ბოჭკის ხე და სხვა. ყველამ, ვინც-კი ორი გროში ხელთ იგდო, ნასესხებიც რომ ყოფილიყო ნამთავნითაც, მაინც ამგვარ ვაჭრობაში ხეირი ნახა ჩვენში. ათში ერთიც არ გამოდგება, რომ წაეგოს.

„შუამავალმა“-კი? — ვაი, სირცხვილო! მას თანხაც გაცილებით მეტი ჰქონდა, არც ვისმესგან ნასესხები ჰქონია, თავისუფალი საწევრო ფულიც იყო, მეთაურებიც „ნასწავლები“ გახლდნენ, მაგრამ მაინც არ იქმნა და არა, იშვირა ფეხი სამარისაკენ სხვა მის ამხანაგებსავით!..

მოსაგები და წასაგები ძმები არიანო, — ბრძანებენ. — კარგი, მაგრამ ჩვენ რომ საბოლოოდ ხელში თაგვის კუდები გვრჩება, ეს რაღა არის? სად არის ეს მეორე ძმა — მოსაგები? სჩანს, ეს ბატონი წასაგები ჩვენი დიდი მოსიყვარულე ყოფილა, მეორე ძმა-კი ჩვენკენ არ იხედება, რაკი ეს საამხანაგო საქმეა, ესე იგი საზოგადო ფლავია. ეს სულ ცრუ-ინტელლიგენტური ლათაიები არის და სხვა არაფერი. ნამდვილი მიზეზები მგონია სხვა არის.

დაარსდა თუ არა „შუამავალი“, მისს სამოქმედო თუ საარჩევნო ასპარეზად გახდა ოზურგეთი; სოფელს იმისი არც დაარსება გაუგია, ვერც სიკვდილს შეიტყობს. გაიგო ერთმა სოფელმა ლანჩხუთმა, სადაც ყაჭის მოვლას ძალიან მისდევენ, მაგრამ იმ დღიდგან აქამდე ოზურგეთი ჯიბრში უდგა და ამავე ჯიბრით ჰმარხავს თავისს პირმშოს. ვიკითხოთ, სად უნდა დატრიალებულიყო მთელი ძალა „შუამავალისა“, სად უნდა გამართულიყო წევრთა საზოგადო კრებანი, ამხანაგობის საქმეების თვალ-ყურის დევნება, წევრთა შეძენა, პარკის ყიდვა, თესლის გაყიდვა და სხვა, თუ არ იმ ადგილებში, სადაც ყაჭის მოვლას უფრო მისდევენ? ჩვენში გადამთიელებმა გაჰყიდეს წელს ურიცხვი ყაჭის თესლი და იყიდეს აუარებელი პარკი, „შუამავალს“-კი ეძინა. ერთი აგენტი რა არის, ისიც არ გვინახავს სოფელ-სოფელ, რომ მართლა საქმით გაეწია ვისმესთვის კონკურენცია და არა ცალიერის ტრაბახობით.

როცა წევრთა წარმომადგენლობა შემოიღეს, იმ დღეს ამხანაგობაც გამოსატირალი იყო, უკუღმართ გზაზედ იმ დღეს შევდგით ფეხი. ერთი ჩვენთვის ვთქვათ: რა უფრო კანონიერია, როცა ჩვენს საქმეს ჩვენვე გვკითხავთ, თუ როცა გვეუბნებით: შემოტანილი ფული აქ იყვეს, თქვენ-კი ცხრა კაცი სახლში დაჯექით და თქვენ მაგიერ მეათე გამოგზავნეთ, მაგრამ თუ კრების დროს ეს არჩეული მეათე ვერ მოიცლის (ვთქვათ), ისიც სახლში დაჯდესო. ეს დიდი უკუღმართობა იყო ამ ორის წლის წინად შემოღებული. ამ ცვლილებამ ამხანაგობას მოაცილა ისინი, ვინც პირდაპირ დაინტერესებულნი იყვნენ საქმეში და ვინც ნამდვილად უნდა ყოფილიყვნენ „შუამავლის“ სულის ჩამდგმელნი: სოფელი გაირიყა და ამხანაგობა ხელში შერჩათ ოზურგეთლებსა და მათს არჩეულს ბ-ნს სოლ. ჭეიშვილს.

ახლავე ვგრძნობ, ბ-ნი ჭეიშვილი, როგორც „ასკანელი კაი ბიჭი“, გაწყრება, მაგრამ თითონაც კარგად იცის საპირადო არავისთან არაფერი გვაქვს და საქმისათვის თუ რამე საჭიროა, ის თუ არ დავფაროთ, ნურას უკაცრავად. ბ-ნი სოლ. ჭეიშვილი გახლავთ გამოცდილი ბოქაულის მწერალი, შემდეგ ასკანის მამასახლისად ნამყოფი, იქიდგან-კი „შუამავლის“ გამგედ იქმნა არჩეული. „საიდგან სადაო, წმიდაო საბაო“. სად მწერლობა-მამასახლისობა და სად სავაჭრო ამხანაგობის სრულის საქმეების გაძღოლა. მაგრამ ჩვენში ხომ იმისთანა მამაცი ჯერ არავინ გამომდგარა, რომ თაობაშივე სთქვას: ჩემი საქმე არ არის, ვერ ვიკისრებო. ანგარიშებიც შეადგინა ბ-ნს ს. ჭეიშვილს, საბუთებიც მოეყვანა, ფიციც ვიწამეთ, მაგრამ მე ამ საქმეს მაინც ისე ვუყურებ, როგორც ყველა უბრალო მომაკვდავი, რომელსაც ერთს დღეს, ერთსა და იმავე საათზე ოზურგეთში, ლანჩხუთში და ბათომში სადილების ჭამა არ ძალ-უძს, და ამიტომ ჩემთვის ერთი რამე არის ცხადი: გაკოტრდა ისეთი სავაჭრო ფირმა, რომელსაც ჰქონდა ფულიც (ბევრი თუ არა ცოტა მაინც), ზნეობრივი დახმარებაც, ხალხის თანაგრძნობაც და იმავე დროს იქვე ჩვენს კარის ძირში სარფიანად ვაჭრობენ უფრო პატარა თანხის პატრონები, ისინი არა თუ კოტრდებიან, პირ-იქით, ჯიბეს ისქელებენ.

ახლავე მეტყვიან: ისინი ჩარჩები არიანო. მოგახსენებთ: „შუამავალი“ ძლივს გვაძლევს პარკში იმ ფასებს, რასაც იძლევიან შინაური თუ არა შინაური კერძო ვაჭრები. მაშ, რაღა დაგვრჩა? ის, რომ „შუამავალმა“ კონკურენცია გაუწია ვაჭრებს, იმათ კვალში ჩაუდგა და პარკის ფასი ასწიაო. ეს ასეც რომ იყოს, იმის საბუთად ხომ მაინც არ გამოდგება, რომ ამხანაგობას უთუოდ სული უნდა ამოხდენოდა. წვრილ ვაჭრობასთან ერთად დღეს ჩვენში სხვილი კაპიტალიც შემოვიდა, ასე რომ კონკურენცია მაინც არის და იქნება. ზოგს ამ ვაჭართაგან „შუამავალზე“ უფრო დიდი წარმოება და ყიდვა-გაყიდვა აქვს.

---

*) უკვე განისვენა და თქვენი ჭირი წაიღო. რედ.

ლაძეს იმ ნაყოფიერ და სასარგებლო ღვაწლისათვის, რომელიც დასდო ახალციხის ქართულს სამკითხველოს. კრებამ გამოუცხადა აგრეთვე მადლობა ბ-ნს ი. ი. კრილცოვს, რომელმაც უსასყიდლოდ შეადგინა გეგმა სამკითხველოს მომავალის შენობისა.

თავმჯდომარე **კონსტანცია ს. მეფისაშვილი.**
მდივანი **ნინო ი. ქიქოძე.**

დაბა და სოფელი

რიონ-გაღმა მხარე (ქუთაისის მაზრა), 2 თებერვალი. ჩვენკენ წელს უთოვლო ზამთარია; სამაგიეროდ, შუა იანვრიდგან-კი ძლიერი ყინვები იდგა ოც-და-ხუთ რიცხვამდე. მას შემდეგ დღემდე მშვენიერი გაზაფხულის დღეები სდგას, რამაც მუშა ხალხი აამოძრავა და სამუშაოდ გამოიყვანა. დღეს ჩვენს კუთხეში ყველაზე მეტი ყურადღება მიაქცია ვენახის მუშაობას; ხალხი, დარწმუნდა-რა, რომ ძველებურის წესით ვენახის კეთება უსარგებლო შრომაა, მზაა მიჰყოს ხელი მიწის გადაბრუნებას (პლანტაჟს) და ამერიკის ვაზებზედ ნამყენების გაშენებას; ტობანიერის საზოგადოებიდგან ამ ერთის თვის განმავლობაში დამყნილ ნახარებ ვაზების საყიდლად ზემო-იმერეთში გაიგზავნა ჯერ 1,200 მან., სხვა სოფლებიდგან ხომ კიდევ სხვა იქნება. ამ გვარად ხუთის წლის განმავლობაში აქედ სანახევროდ მაინც იქნება ახალის წესით გაშენებული ვენახები.

დიდი ამბავია სოფელს ბზვანში ეკკლესიის მნათეს ამორჩევის შესახებ; ამ სოფელში ირიცხება 300-ზედ მეტი მცხოვრებელი, რომელნიც შეადგენენ ორ-შტატიან ეკკლესიის მრევლს; გაჩნდა დას-დასობა და სოფელი ორ ნაწილად გაიყო; ერთს ნაწილს შეადგენენ გლეხნი ტყეშელაშვილები, რომელთა რიცხვიც 150-მდე აღის და მეორე ნაწილი-კი შესდგება სხვა და სხვა გვარის გლეხთა და აზნაურთაგან. ეს ათი წელიწადია მნათე ტყეშელაშვილის გვარიდგან იყო არჩეული სამჯერ, მღვდელი მათ ტყეშელაშვილი ჰყავთ, მედავითნეც დღემდის ამავე გვარისაგან იყო; ტყეშელაშვილები ძველ დროიდგან უწოდებენ თავიანთს თავს „ხატის კაცს", რის დასამტკიცებლად ყოველ წელს საერთოდ სადმრთოს იხდიან და დაწესებულ საწირავს წმ. გიორგის ხატს სწირავენ, თან ძირეულ მცხოვრებლებად ითვლებიან; ყველა ამ გარემოებით ჰხელმძღვანელობენ და არ უნდათ სხვა გვარისა იქმნეს არჩეული მნათედ. ამის გამო, აგერ რვა თვე გათავდა, დაუსრულებელი დავაა: ყოველ კვირა-უქმე დღეს წირვის შემდეგ ხალხი ყიჟინით და ლანძღვა-გინებით აღამებს ეკკლესიის გალავანში. ამ უთანხმოებამ იმ ზომამდე მიაღწია, რომ ამას წინად კინაღამ ხელ-და-ხელობა შეიქმნა. მოწინააღმდეგე დასებს ორივეს ჰყავს თავ-თავიანთი ხელმძღვანელი და წარმომადგენელი. დიდხანს გასტანს ეს არეულობა, მეტიც გაიმართება და საქმე ისევ დაუბოლოვებელი დარჩება, თუ სასულიერო მთავრობამ არ მიიღო რამ ღონისძიება. მღვდელმა ადგილობრივის მამასახლისის დახმარებით ბევრჯელ მოინდომეს ხალხის დამშვიდება, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდნენ. ამისთანა ამბავი არც ამერიკაში იქნებოდა პრეზიდენტის არჩევის დროს!

სოფელს ზეინდარში ამ ერთის თვის წინად ძმათა ერისთავებს და ცინცაძეებს ჩხუბი მოუვიდათ. ერისთავებმა მძიმედ დასჭრეს სამი ამათგანი; დაჭრილთაგანი ერთი გარდაიცვალა; გამოძიება სწარმოებს.—კარგა ხანია, რაც ს. ამაღლებაში დადიოდა უსაქმოდ და სცხოვრობდა ხან ერთის მოსახლისას, ხან მეორისას უცხო ყმაწვილი კაცი, რომელიც იქნებოდა 25 ან 27 წლისა; ამ უცხო კაცს ეძახოდნენ „გოგია ლეჩხუმელს". ეს იყო მშვენიერი მომღერალი და ხუმარა კაცი, რის გამო ყველას მიჰყავდა სახლში ლხინის დროს; ამ ერთის კვირის წინად ეს გოგია ლეჩხუმელი წასულა სანადიროდ და, როდესაც ჩახმახ-ამართულ თოფით ეპარებოდა შაშვს, უცებ ჩახმახი დაცემულა, თოფი გავარდნილა და მოჰხვედრია წვივში, რომელიც მთლად დაუმსხვრევია საფანტს; საბრალოს მორჩენის იმედი აღარა ჰქონია, მოუწოდებია მღვდელი, მასთან რამდენიმე კაცი და უთქვამს, რომ მე ვარ მიხაკო დადიანი, თავადი, თავ. კოწია დადიანის ბიძაშვილიო. სამხედრო სამსახურში გამიყვანეს ჯარის-კაცად, ვერ გავძელი და გამოვიპარეო. გადავითქვი გვარი და სახელიო, ჩავიცვი უბრალო ტანისამოსი და უცხო სოფლებში ვიმალებოდი და ვინახავდი თავსო. დღეს, რადგან ეს არის ვკვდები, ვაღიარებ ჩემს გარემოებასო და იცოდეთო. ყველას ძლიერ უკვირს ეს ამბავი. ეხლა მადლიანმა კაცებმა შეჰკრიბეს თითო-ოროლა შაური, რომ გაგზავნონ ქუთაისში საექიმოდ და თან აცნობონ მისს ნათესავებს. ვინც დაუკვირდებოდა ამ ყმაწვილის სახეს, უსათუოდ შეატყობდა, რომ ის არ იყო უბრალო ოჯახის შვილი, მეტად ცოცხალი, კარგი მოლაპარაკე და შესანიშნავი მომღერალი იყო. გაიგო-რა აქაურმა თავად-აზნაურობამ ეს ამბავი, ყველა ეხლა დიდის პატივისცემით ეპყრობა და ბოდიშს იხდის მის წინაშე, ვინც-კი რაიმე აწყენინა. როდესაც ჰკითხეს, რად ინებე, თავადო, ასთე, რად შეგვარცხვინე, უბრალო ვინმე გვეგონე და სამასხაროდ გვყავდიო. მან უპასუხა: „არაფერია, მე ყველას მადლიერი ვარო, ჩემი თავი თვითონ წავახდინეო."

ჩვენს კუთხეს დუქნები თან-და-თან ემატება, უფრო ბევრი-კი ღვინისა; წელს ბოქაულებმა მოსწერეს მამასახლისებს, რომ არ მისცენ დუქნის გამართვის მოწმობა არავის უმათოდ, რადგან კერძო ყრილობა უნდა მოხდეს ბოქაულის თანადასწრებით და ეკითხოს ხალხს, ვის ეკუთვნის მოწმობის მიცემა და ვის არა, რომ ამით აღუკრძალონ არა კეთილ საიმედო ხალხს მედუქნეობა. მაგრამ ამგვარი კაცები მაინც თავისას არ იშლიან: როდესაც ბოქაული დაეკითხა ხალხს, ვის მივცეთ ნებაო, ხალხმა ერთხმად დაიძახა: „ყველამ გამართოსო". ტობანიერის საზოგადოებაში ამ წელს რვა სამიკიტნო გაიხსნა, წარსულ წელში-კი ოთხი იყო. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეკკლესიებს მლოცველები მოაკლდება, მთვრალობა, ჩხუბი და სხვა გვარი უწესოება იმატებს, და სოფლის მოხელეები საქმეებს დუქნებში გაარჩევენ, ჩვენის კუთხის მეეტლეები უფრო ხშირად გამოთვრებიან და ეტლს მალ-მალ გადააბრუნებენ.

მგონი ეხლა-კი ეშველოს ჩვენს გზებს: ქუთაისის მაზრის უფროსის თ-დ დადეშქელიანის განკარგულებით ძლიერ გაჩაღებულია ეხლა აქეთ გზების კეთება. განსაკუთრებით ტობანიერის საზოგადოებაში. რადგან ამინდიც ეხლა ხელს უწყობს და ხალხიც მოცლილია, ძლიერ მონდომებულია ბოქაულიც, მამასახლისიც და მისი მოხელენიც, რომ როგორმე ეშველოს გზებს. გზების მეთვალყურეობა, მუშების გამოყვანა და მოხელეებისათვის შეწევნის აღმოჩენა მთავრობის მიერ დავალებული აქვს სამტრედიის დარაჯთა ურიადნიკს სიდ. ბასილაიშვილს, რომელიც, ეს ერთი კვირაა ტობანიერის საზოგადოებაში იმყოფება ორის დარაჯით და ყოველ დღე დილიდგან საღამომდე დადის, ათვალიერებს მუშაობას და ჰხმარობს ყოველ ღონისძიებას, რომ პატიოსნად შეასრულოს მასზედ მინდობილი მოვალეობა. სწორედ მადლობის ღირსია ბ-ნი ბასილაიშვილი ასეთის გულმოდგინე შრომისათვის და იმედიც უნდა ვიქონიოთ, თუ პატარა ხანს ამინდმაც ხელი შეუწყო, გზები და ბოგირები გამოკეთდება; ყოველ კომლს მიზომილი აქვს თავისი წილი, როგორც. თხრილის ამოღება აგრეთვე ქვიშის მოყრაც. ბევრმა თავი მით გაინთავისუფლა მუშაობისაგან, რომ ვითომ ხარი არ მყავსო, თუ მოქალაქეთ ვარ შერიცხულიო, თუ ვაჭრობ და გილდის მოწმობა მაქვსო. ამ გვარად მუშაობა მარტო ღარიბ და შეუძლებელ კაცს დააწვა თავს. ამიტომ საჭიროა, რომ მამასახლისმა ეს გარემოება მოახსენოს მაზრის უფროსს და, ცრუ მიზეზების მიუხედავად, ყველას დაავალოს მუშაობა. სამტრედიის ნაწილის ბოქაულმა ბ-მა იაშჩენკომ წარსულ კვირაში დაიარა გზები და შეამოწმა მუშაობა.

ვლადო ბზვანელი.

ნარკვევი.

ჟურნალს ,,ვოსხოდში'' დასტამბულია წერილი სიონისტების კრებათა გამო; წერილი შეეხება ,,ავტონომიზმს''.

სახელმწიფო ნაციონალიზმი, სწერს ავტორი, არის ის გველი, რომელიც ჰკბენს თავისს კუდს. „ნაციონალურ სახელმწიფოს'' პოლიტიკა არის დამორჩილებულ ერთა დამონება და ძალმომრეობით მათი გადაგვარება, და მას თან მოჰყვება ხოლმე ორი შედეგი: 1) ან მუდმივი არეულობა და ამბოხება დამონებულ ერთა შორის, მუდმივი „მოქალაქობრივი" ომი, რომელიც ძირს უთხრის წესიერებას და კანონიერებას სახელმწიფოში, 2) ან დარღვევა სახელმწიფოსი და მისი დანაწილება ეროვნულ ფედერაციებად. ყოველი სახელმწიფო, რომელიც აფასებს შინაურს მშვიდობიანობას, ეცდება თავიდგან აიცილოს, როგორც პირველი, ისე მეორე შედეგი. იგი დარწმუნდება, რომ არამც თუ დამორჩილებულ ერთა, არამედ თავისს საკუთარ კეთილდღეობისათვის, უნდა უარ-ჰყოს „სახელმწიფოთა ნაციონალიზმი". სწორედ საკუთარ მშვიდობიანობისა და პოლიტიკურ ძლიერებისათვის მრავალ ერის პატრონმა სახელმწიფომ უნდა მისცეს ეროვნული სულიერი თავისუფლება ისტორიულ ერთ...

ავტორი დარწმუნებულია, რომ ისტორია მიისწრაფვის ეროვნულ ინდივიდების თავისუფალ განვითარებისადმი.

თუ წარსულმა საუკუნემ სახელმწიფო უფლებაში დაამკვიდრა კერძო ადამიანის თავისუფლების პრინციპი, ახალმა საუკუნემ უნდა დანერგოს საზოგადოებაში მეორე—ეროვნულის პიროვნების თავისუფლების პრინციპი. ეს სამართლიანი, გამორკვეული იდეალია, რომელსაც წინ გვიყენებს პრაქტიკული საჭიროება. ერთა ბრძოლა მანამდის არ შეწყდება, ვიდრე არ იქნება განხორციელებული ეს იდეალი. ებრაელნი მარტონი არ არიან: მათი საქმე უერთდება ისტორიის კანონიერს პროცესს... თუ ისტორიული მდგომარეობა ებრაელთა განსაკუთრებულია, პრინციპი ხომ ერთია ყველასათვის.

სასოფლო მეურნეობა

ფუტკართ გრძნობა (ლუნკევიჩით)

საკვებისათვის ფუტკრები ხან-და-ხან ხუთი ვერსის მანძილზედაც დაფრინავენ, მაგრამ უფრო ხშირად-კი ისინი ამჯობინებენ თუ საშოვარი ექნებათ, არა უმეტეს 1—2 ვერსის მანძილისა. მათი საკვებისათვის ფრენა დამოკიდებულია იმაზე, თუ თაფლის მომცემი მცენარენი რა სიშორეზედ მოიპოვება. საზოგადოდ შენიშნულია: რამდენად ადგილ-მდებარეობა ვაკე და სწორია, იმდენად მუშა ფუტკრები მეტს მანძილზე დაფრინავენ თაფლის შესაგროვებლად და თუ საფუტკრე გამართულია მთიან უსწორ-მასწორო ადგილას, მაშინ ისინი ვერ ბედვენ დიდად მოშორდნენ თავიანთ სკას (ბუკს). თუ უნდათ გამოიკვლიონ ფუტკარი რა სიშორეზე დაფრინავს საშოვრისათვის, ამის გასაგებად უნდა გაისინჯოს ყვავილის მტვერი, რომელიც მოაქვთ მშრომელებს (მუშა ფუტკართ) თავიანთი ფეხებით. ასეთი დაკვირვებით გამოიკვლიეს და დარწმუნდნენ, რომ ის ყვავილი, რომლიდგანაც მუშა ფუტკარმა მტვერი შეაგროვა, დაშორებულია საფუტკრეზე 5 ვერსით.

სასურველია ვიცოდეთ, როგორ არჩევენ მუშა ფუტკრები თაფლის მომცემ მცენარეებს ისეთი მცენარეებისაგან, რომელთა ყვავილნიც არ იძლევიან თაფლს. საქმე ის არის, რომ თითქმის ყველა თაფლის მომცემი ყვავილი (ტკბილი-წვენიანი) ან სურნელოვანია (**душистый**), ან და ნათელი ფერისა (**яркій**) აქედგან უნდა დავასკვნათ, რომ ფუტკართ შესძლებიათ ყნოსვით გარჩევა ერთი ყვავილისა მეორისგან, აგრეთვე ფერადების განსხვავების ნიჭიც ჰქონიათ.

ფერადობის გასარჩევად ფუტკართ აქვთ თვალები. თითოეულ ფუტკარს აქვს ორი დიდი თვალი და სამიც პატარა. ფუტკრის დიდი თვალი რთულია, თითქოს ის შესდგებოდეს მრავალის პაწია თვალებისაგან. ადამიანის თვალს შეუძლია განასხვაოს წითელი ფერი მწვანისაგან, ლურჯი ყვითელისაგან და სხვ.

ეხლა საჭიროა ვიცოდეთ ფუტკართაც შეუძლიათ თუ არა ამ გვარადვე ერთი ფერის მეორისაგან განსხვავება. ეს კითხვა დიდ მნიშვნელოვანია.

თუ ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ფუტკართ შეუძლიანთ განასხვავონ წითელი ყვავილი ლურჯისაგან, თეთრი ყვითელისაგან და სხვ., მაშინ შეიძლება გადაწყვეტით ვთქვათ, რომ ფუტკართ ყვავილის ფერისაგან შეუძლიანთ გაიგონ და განასხვავონ ერთი მეორისაგან ისეთი მცენარნი, რომელნიც ყვავილის წვენისაგან იძლევიან თაფლს.

სწავლულმა ლებბოკმა სცადა გაეგო, შეუძლიანთ თუ არა ფუტკართ ერთი ფერის მეორისაგან გარჩევა. ერთხელ მან აიღო ორი ფერადი ქაღალდი—ერთი ლურჯი, ხოლო მეორე მწვანე. თითოეულ ქაღალდზე დადვა ცოტ-ცოტა თაფლი; მერმე დაიჭირა ერთი მუშა ფუტკარი და დასვა ლურჯ ქაღალდზე. ფუტკარი დანიშნა საღებავით, რომ ის სხვა ფუტკრებში არ გამოსცვლოდა და ეცნო. ფუტკარმა ამოსწუწნა, რამდენიც შეეძლო, იმდენი თაფლი და გაფრინდა.

ფუტკრის გაფრენისათანავე ლებბოკმა ქაღალდებს ადგილები შეუცვალა: ლურჯის ადგილას დასდვა მწვანე, მწვანე-კი გადაიტანა ლურჯის ადგილას. მალე იგივე ფუტკარი მოფრინდა თაფლისთვის თავად იმ ადგილას, სადაც წინად იდვა ლურჯი ქაღალდი (აღსანიშნავია ისიც, რომ ქაღალდები ერთი მეორეზე 3 ფუტით იყო დაშორებული.), მაგრამ თაფლზე დაჯდომამდე შენიშნა ცვლილება და სწრაფად გაქანა იქ, სადაც იდვა მისი უკვე ნაცნობი ლურჯი ქაღალდი. დილის 7 საათიდგან მოკიდებული შუადღის პირველამდე ლებბოკი ასეთ ცდა-დაკვირვებაში იყო გართული; ამ დროს განმავლობაში ფუტკარი 30-ჯერ მეტად მოფრინდა თაფლისთვის. ლებბოკმა-კი ქაღალდებს რამდენჯერმე გადუნაცვლა, მაგრამ ფუტკარი ყოველთვის შეუცდომლად აჯდებოდა მხოლოდ ლურჯს ქაღალდს. მაშასადამე, ფუტკრისათვის ცხადი იყო, რომ თაფლი ლურჯ ფერ ქაღალდზე იყო. თუ-კი ფუტკარი იმახსოვრებდა ქაღალდის ფერს, რომელზედაც თაფლი იყო, აშკარა ყოფილა, რომ მას (ფუტკარს) შესძლებია ფერადების გარჩევა.

ასეთი მაგალითებით ლებბოკი დარწმუნდა, რომ ფუტკრები დიდის ხალისით მოფრინდებოდნენ იმ ქაღალდზე, რომელზედაც თვალი უფრო შეჩვეული ჰქონდათ. მაგალითად, თუ პირველად ისინი დაასხდებოდნენ თაფლიან წითელ ქაღალდს, მერმე ყოველთვის ამ ქაღალდსვე უბრუნდებოდნენ თაფლის წასაღებად და სხვ.

ამგვარი მეცნიერული გამოკვლევა გვიმტკიცებს, რომ ფუტკრის თვალს შესძლებია ერთი ფერის მეორისაგან გარჩევა. თუ-კი ეს მართალი და ჭეშმარიტებაა, მაშინ ისიც უნდა ვიფიქროთ, რომ საშოვარზე წასული ფუტკრები ფერით არჩევენ, რომელი ყვავილი თაფლ[illegible] რომელი უთაფლო.

ისიც საფიქრებელია, რომ მაგ თვისებებისავე გამოიცნობენ ყვავილის სუნითაც.

აპ. წულაძე.

რუსეთი

— მოსკოვის პოლიციის განკარგულებით ლუდხანებს, სჩაიებს და მესამე ხარისხის ტრაქტირებს შეუძლიანთ იქონიონ მხოლოდ შემდეგი გაზეთები: „მოსკოვსკია ვედომოსტი", „ნოვოე ვრემია", „მოსკოვსკი ლისტოკი" და „სვეტი"-ი.

— თებერვალში რუსეთში ჩამოვლენ ინგლისელი მეურნენი რუსეთის სასოფლო მეურნეობის და მრეწველობის გასაცნობლად.

— მაისში პეტერბურგში დაიწყება ინგლისის მრეწველობისა და ვაჭრობის გამოფენა. გამოფენა გაგრძელდება 21 მაისიდგან 20 აგვისტომდე.

— ვარშავაში დაარსებულა ახალი სიონისტთა საზოგადოება „ნათელი სიონისა", რომელსაც უკვე 200-მდე წევრი ჰყავს, უმთავრესად ახალგაზრდათაგანი. საზოგადოების საგანია სწავლა-განათლების გავრცელება ებრაელთა შორის.

— ვარშავაში უეცრად გარდაიცვალა პოლონურ გაზეთის „სლოვოს" რედაქტორ-გამომცემელი. განსვენებული ეგრედ წოდებულ შერიგების დასს ეკუთვნოდა.

უცხოეთი

გერმანია. გერმანელი აგრარები მალიმალ გაიძახიან, უნდა დავეხმაროთ და ვუშველოთ წვრილ მემამულეთ და სოფლის მუშებსაო. სიტყვით ამას ამბობენ, საქმით-კი ათასნაირად ავიწროვებენ წვრილ მესაკუთრეთ და სოფლის მუშებს, განსაკუთრებით ამ უკანასკნელთ. გერმანიაში ორი თვალსაჩინო დაწესებულებაა—„სასოფლო ეკონომიის კოლლეგია" და სასოფლო-სამეურნეო საბჭო. ორსავე დაწესებულებაში ამას წინად სოფლის მუშებზედ ჰქონიათ ლაპარაკი. რასაკვირველია, ბევრი ულაპარაკნიათ სოფლის მუშათა გაჭირვებულ მდგომარეობაზედ, ბევრი სანუგეშო უთქვამთ, მაგრამ ბოლოს მაინც დაუდგენიათ: სასოფლო ეკონომიის კოლლეგიამ—იშუამდგომლოს გაძლიერებულ იქმნას სასჯელი, რომელიც სოფლის მუშას ჰხდება ხელ-შეკრულობის დარღვევისათვის, ხოლო სასოფლო-სამეურნეო საბჭომ—იშუამდგომლოს, რომ ჯარის-კაცებს სამხედრო ბეგრის გადახდის შემდეგ აღეკრძალოთ ქალაქებში ცხოვრება (ამ საშუალებით სოფელში, რაღა ლაპარაკი უნდა, მუშის ფასი დაიწევს). ასეთის ხრიკებით სცდილობენ სხვილი მემამულენი თავიანთ საქმეების მოწყობას. მაგრამ გააწყობენ-კი ამით რასმეს? თვით აგრარნი ჰგრძნობენ, რომ ის დრო წავიდა, როდესაც სახელმწიფო მარტო-ოდენ თავადაზნაურთა და მემამულეთა ინტერესებისათვის ჰზრუნავდა. აი, რა უთქვამს ერთს აგრარის და სხვილ მემამულეს, სამოსამართლო პალატის თავმჯდომარეს, ბარონ ფონ-ნეიბრონს: ვერასოდეს პროექტი საბაჟო გარდასახადის შესახებ კანონად ვერ გადაიქცევა იქ, სადაც მცხოვრებთა უმრავლესობას სამრეწველო მუშები შეადგენენ, ვერ გადაიქცევა იგი კანონად განსაკუთრებით ახლა, კრიზისის დროს, როდესაც ამოდენა ხალხი ულუკმა-პუროდაა დარჩენილი და როდესაც მთავრობამ იმათ გამოკვებისათვის უნდა იზრუნოს. სიცრუეა ის, ვითომ საბაჟო გარდასახადი მთელის სოფლის კეთილ-დღეობისათვის იყო საჭირო: გაჭირვებაშია არა სასოფლო მეურნეობა, არამედ სხვილ მემამულეთა ჯგუფი, რომელმაც მიწის დამუშავება არ იცის და რომელსაც უზომო მოთხოვნილება აქვსო.

რაღა ლაპარაკი უნდა, სიმართლის მოყვარული ფონ-ნეიბრონი აგრარებმა მეორე დღესვე მოღალატედ გამოაცხადეს.

— პირველ აპრილიდგან ძალაში შევა ახალი კანონი, რომლის მეოხებითაც რამოდენადმე გაუმჯობესებულ იქმნება რესტორანისა, სასტუმროებისა და სხვა ამ გვარ დაწესებულებათა მოსამსახურეთა მდგომარეობა. ყველამ უწყის, რა დიდ შრომაში არიან რესტორანისა და სასტუმროს მოსამსახურენი. თავისუფალი დრო მათ არც-კი აქვთ, დღელამე ეს მოსამსახურენი ფეხზედა დგანან. გერმანიის მთავრობამ მხოლოდ ეხლა მიაქცია ყურადღება ამ მოსამსახურეთა მდგომარეობას, თუმცა ლაპარაკი ამის შესახებ არა ერთხელ იქმნა აღძრული. ახალი კანონი მფარველობას გაუწევს უმთავრესად მცირე წლოვან მოსამსახურეთ: ვაჟებს—16 წლისაზედ უმცროსებს, ხოლო ქალებს

დავიარსებთ თუ არა რამ საქმეს, მაშინვე თავს ვანებებთ, მივუგდებთ ვისმე და არც-კი ვკითხულობთ, რა გზით და საით მიდის ჩვენი საქმე. ამხანაგობა ნდობაზედ დაარსებულია, წევრნი მის საქმეების მეთვალყურეობისთვის თავს არ იტკივებენ, გამგე-კი თან-დათან ეჩვევა შემდეგს აზრს: ვისთან რა მაქვს საკითხი, ყველაფერი ხომ ჩემს ხელთ არისო. როცა ამხანაგობა თავ-დაყირა დაეშვება, მაშინ წევრებიც თვალს ახელენ და კრებაზედ სინამდვილეს ჩაუკვირდებიან; გამგეს უკვირს კიდეც, ამას ვის უბედავენ, ესენი ვინ არიანო და სხვა-და-სხვა ხერხით ურცხვად ეპოტინება ძველს სავარძელს ეს შეჩვეული თბილი ადგილი ცოტა ხანს კიდევ არ დამეკარგოსო.

16 დეკემბერს კრებამ ს. ჰეიშვილი გამოსცვალა. ასი კაცი რომ გეტყვის: შავი ხარ, „აღარ გვინდებ-ხარო",—აიღე, ქრისტიანო, ქუდი და გასწი!... მაგრამ სოლ. ჰეიშვილმა ეს არ ინება და აკი გაიტანა ლელო. 20 იანვარს ის ისევ „შუამავალის" სათავეში წამოსკუპდა, ავად იყო თუ კარგად. დიდება შენ, ღმერთო! „ქვეყანა იქცეოდა, ტურა ქორწილს შვრებოდაო", ეს მოკრივეები სწორედ ასე იქცევიან: ამხანაგობას სული ჰხდება, ესენი კი კენჭობანას აცხელებენ. ამ გვარმა საქციელმა გამოუთხარა ძირი ჩვენს საერთო საქმეს, დიდსაც და პატარასაც, თორემ „შუამავალსაც" სასიკვდილო არა უჭირდა-რა.

სხვაგან არ ვეძებ მაგალითებს, მიბრძანდით თუ გინდ **ხონში**.—ამ აგვისტოს დამლევს გახლდით შემთხვევით. შევიარე ვიღაც უცხოტომის კაცის აბრეშუმის ძაფის სახვევ სახელოსნოში. ეტყობა არც იმდენი დიდი ფულის პატრონია, მაგრამ მთელი ქარხანა-კი გაუმართავს. სამოცამდე ქალიშვილი მუშაობდა ამ ქარხანაში, ყველაფერს ქარხნური ელფერი ედვა; მძიმე ჰაერს ყველასთვის თავისი დაღი დაესვა უკვე; ცოტა გულიც მატკინა იმათმა ჩათეთქილმა სახეებმა, მაგრამ რას ვიზამდი: მეორე მხრივ წარმომიდგა უფულობა, გაჭირვება, შიმშილი (ზოგი ობლები იყვნენ, ზოგიც ძლიერ ღარიბის დედ-მამის შვილები, როგორც გამოკითხვის დროს მითხრეს) და ჩემთვის წავილუღლუღე: ისევ ეს სჯობიან, თორემ, ვინ იცის, იქნება ამ სამოც გოგოში ათსაც არ ჰქონოდა უამისოდ დღეს პურის ფულიც-კი მეთქი.

ამას ახერხებენ ჩვენში გადამთიელნი, საიდგანღაც გადმოვარდნილნი, ჩვენ-კი ერთმანეთთან კინკლაობაში ვირთმევთ სულს და ისევ სხვისის ხელის შემხედვარე ვრჩებით.

რა უნდა ქმნას ამის შემდეგ „შუამავალმა"? ძაღლი ვინც დაარჩოს, მანვე გადაათრიოსო, იტყვიან: ალბად „შუამავალიც" დასამარხავად ისევ ს. ჰეიშვილს დაუტოვეს, თორემ ზურგზედ დიდი ვალი, აღარსად ნდობა, აღარსად ფული და საიდგან გნებავთ წარმოება გამობრუნდეს, ვაჭრობა გაჩაღდეს?!. პაი 20 მანეთი ღირდა, შემდეგ 30-ად იქცა, ახლა უცებ გაიაფდა და 10 მანეთზედ დავიდა, ესე იგი შეტანილი მანეთი ათ შაურად გახდა. მოსაგებიც ეს არის და დივიდენდიც ამას ჰქვიან!

„შუამავალის" სალი სიცოცხლე ჩვენთვის სასიამოვნოა, მხოლოდ იმის გამობრუნების იმედი-კი დღეს იოტის ოდენადაც აღარსადა სჩანს. წევრთათვის ეს კარგი სკოლაა. ჩვენში კიდევ შეიძლება ფეხი მოიკიდოს ახალმა ამხანაგობამ, ოღონდ საჭიროა თავიდგან ავიცილოთ დღევანდელი შეცდომები.

„შენი უმური მარჯვენა ხელიც ნუ გინდაო", იტყვიან; ერთობა კარგია, ვინ არ იცის, მაგრამ თუ-კი არავინ გიძმობს, ძალით ხომ ვერ ეძმობი; ამიტომ ცუდი არ იქნება ლანჩხუთელები მთლად მოშორდნენ ს. ჰეიშვილსა და მისს ამქრებს და იქ გააჩაღონ საქმე, სადაც ეს საჭიროა, თუ გინდ ამისთვის ახალი წილის ფულიც საჭირო გახდეს. ლანჩხუთის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობას, როგორც სხვაგან, ფართო წესდება აქვს და საქმეებიც კარგად მიდის. წესდება ნებას გვაძლევს ყოველგვარ სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოების სყიდვა-გასყიდვისას. საჭიროა ამ ამხანაგობის გამგეობის წევრთა გულ-მოდგინე შრომა, სახელმწიფო ბანკში სესხის მოპოვება და ორის საქმის შეკავშირება. ნამდვილად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ამხანაგობა არა თუ იზარალებს, სარგებელსაც ჰნახავს და წევრებსაც დაეხმარება პარკის გაყიდვაში. დეე, „შუამავალი" დაჰმარხონ ოზურგეთლებმა, ოღონდ-კი ერთის სიკვდილმა მეორეს ჰშთაბეროს სიცოცხლის სული, უფრო სალი და საიმედო. ადრე თუ გვიან, მგონია, ეს ასეც მოხდება.

«შენც წახდი, მეც წამახდინე,
ქრისტე აღსდგა! —გიხაროდესო».

დღეს ეს-ღა თუ გვეთქმის „შუამავალისა" და იმის ბედის ჩარხის უკუღმა დამბრუნებელთა შესახებ.

ზ. სეფისკარელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—18 წლისაზედ უმცროსებს. მუშაობის დრო შეზღუდულია. დღე-ღამეში სულ ცოტა ცხრა საათი მაინც უნდა მიეცეთ მათ დასასვენებლად. სხვა მოსამსახურეთათვის ნაკლები დასასვენებელი დროა აღნიშნული. ეს ახალი კანონი, როგორც ზემოდაცა ვსთქვით, რამოდენადმე მაინც შეუმსუბუქებს ტანჯვას რესტორანისა და სასტუმროების მოსამსახურეთ.

სამხრეთ-აფრიკის ომი. წარსულს დეკემბერს, როგორც ერთი ინგლისური გაზეთი გადმოგვცემს, სამხრეთ-აფრიკაში 310 ბრძოლა მომხდარა. აქედგან 120 ტრანსვაალში, 101—ორანჟეში, 74—კაპის ახალშენში და 9—ნატალში. უფრო ხშირად ამ ბრძოლებში ბურები ესხმოდნენ თავს. საზოგადოდ ბოლოს დროს ბურებმა, მებრძოლთა სიმცირის მიუხედავად, დიდი სიმხნევე და სიმამაცე გამოიჩინეს. დევეტის უკანასკნელი ოინი მთელის ინგლისის სალაპარაკოდ გადაიქცა. თითქმის ყველანი ერთხმად შეაქებენ ამ გმირის მოხერხებას. კიტჩნერი დარწმუნებული იყო თურმე, რომ ეხლა-კი უეჭველად ჩავიგდებ ხელთ დევეტსაო. სწორედ საოცარია, როგორ გადარჩა დევეტი ტყვეობას: 40 ათასი ჯარის-კაცი რგოლივით შემოერტყა იმ ადგილს, სადაც გენერალი იყო; თავის რაზმით მაგრამ საქონლის ჯოგის მეოხებით მან მაინც შესძლო ამ რგოლის გარღვევა და გაქცევა. როგორც იმავე გაზეთის ანგარიშიდგან სჩანს, ერთის კვირის განმავლობაში ბურების მომართ 143 კაცი დაჰკლებიათ, ამავე ხანში ინგლისელი მოუკლავთ 40, დაუჭრიათ—144 6 უკვალოდ დაკარგულა და 186-იც სხვა-და-სხვა ავადმყოფობისაგან მომკვდარა. სულ ამ რიგად ინგლისის ჯარს დაჰკლებია 376 კაცი. ეს ოფიციალურის ცნობებით, ნამდვილად-კი ინგლისელთ უთუოდ ორჯელ ამაზედ მეტი დაჰკარგეს.

ჩინეთი. ამას წინად გარდაცვალებულ ლი-ხუნ-ჩანგის ადგილას „ჩინეთის კანცლერად" დანიშნულ იქმნა გენერალი იანშიკაი. გაზეთები ბევრს რამესა სწერენ ამ გენერლის შესახებ. ამბობენ, იგი მეტად მხნე და მეცადინე კაციაო. ამას გარდა, იანშიკაი დიდი მომხრეა თურმე რეფორმებისა. გენერალს ქალაქებში პროკლამაციები გაუკრავს: აცხადებს, სიკვდილით დავსჯი ყველა იმას, ვინც უწესოებას მოახდენს ან ხალხს აღელვებსო. როგორც პროკლამაციაშია გამოცხადებული, სიკვდილით დაისჯებიან: 1) ის ჩინელნი, რომელნიც ხალხს აღელვებენ; 2) ისინი, რომელნიც ცრუ-სარწმუნოების გავრცელებას შეუდგებიან; 3) მძარცველნი და ყაჩაღნი; 4) ის მეომარნი, რომელნიც ცრუ-მოძღვრებას მისდევენ. ამას გარდა, იანშიკაი სასტიკად დასჯას უქადის ყველა სხვას, ვინც-კი ხელს შეუწყობს ან სხვა რიგად დაეხმარება უწესოების გავრცელებას ჩინეთში.

— საყურადღებო ცნობებს გადმოგვცემს ექიმი პარკერი ჩინელთა იმ ჟურნალ-გაზეთების შესახებ, რომელნიც შანჰაიში იბეჭდება. ამ ქალაქში ხუთი დიდი გაზეთი გამოდის; ამათგან ოთხი რეფორმის მომხრეა. ეს გაზეთები ჰქადაგებენ ევროპიულ დაწესებულებათა შემოღებას ჩინეთში. მოკრივეთა მოქმედების შესახებ ეს გაზეთები არაფერს სწერენ. ერთად-ერთი გაზეთია, „Shenpao", რომელიც იცავს მოკრივეებს და ამბობს, რომ მოკრივეთა მოძრაობისა და ჩინეთში მომხდარ არეულობათა მიზეზი თვით უცხო ქვეყნელთა არა საქებური ყოფა-ქცევა იყოო. ჩინელები ცდილობდნენ მხოლოდ თავიანთ ქვეყნის დაცვას უცხოელთა ბატონობისა და შემოსევისაგანაო.

შანჰაის გარდა ზემოხსენებული გაზეთები კიანსუსა და სხვა პროვინციებშიაც გავრცელებულია თურმე. ზოგიერთი გაზეთს 9—10 ათასი ხელის მომწერი ჰყავს. პარკერის აზრით, პრესას ჩინეთში მეტად დიდი მომავალი მოელის, რადგანაც ყველა ჩინელი სიამოვნებით ეტანება გაზეთს.

ოსმალეთი. როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, პარიჟში ამ ჟამად ახალგაზრდა ოსმალთა კონგრესია. პირველად გარეშე საქმეთა მინისტრმა აღკრძალა კონგრესის გამართვა. ევროპის სხვა-და-სხვა კუთხიდგან ორმოცამდე დეპუტატი შეკრებილიყო. მიიწვია კონგრესსზედ ეს დეპუტატნი ორმა ახალგაზრდა პრინცმა, სულთანის სიძის მაჰმუდ-დამად-ფაშის შვილებმა. დეპუტატნი ლონდონში აპირებდნენ წასვლას კონგრესის გასამართავად, როდესაც საქმეში ვალდეკ-რუსსო ჩაერია. მინისტრ-პრეზიდენტმა გააუქმა თურმე დელკასსეს განკარგულება და ოსმალებს ნება დაჰრთო კონგრესის გამართვისა. სამი პირველი სხდომა გრაფ ლეფევრის სახლში მომხდარა. დეპუტატნი ჯერ არ შესდგომიან რეფორმთა პროექტის განხილვას და აგრეთვე იმას, თუ როგორ უნდა განახორციელონ ოსმალეთში დღევანდელ წეს-წყობილების წინააღმდეგ ეს რეფორმები. პირველი სხდომები დეპუტატებმა სხვა-და-სხვა დასების შეთანხმებას მოანდომეს. ამბობენ, ამ სხდომაზედ ახალგაზრდა ოსმალნი, სომეხნი, ნაციონალისტნი და სხვა დასნი უკვე შეთანხმდნენ და მორიგდნენ ერთმანეთშიო.

წერილები რედაქციის მიმართ.

I

ბატონო რედაქტორო! „ივერიის" მე-24 №-ში ბატონი "არა-ბახველი" თავისის საბასო წერილით მიჰმართავს ბახვის სკოლის ყოფილ მოსწავლეებს და ურჩევს აღნიშნონ ჩვენი ხანგრძლივი მოღვაწეობა სოფლის მასწავლებლობის ასპარეზზე მით, რომ ურთი-ერთი შორის შეკრებილ ფულით აღზარდონ ჩვენი უმცროსი ვაჟი, რომელიც ამ ჟამად რეალურ სასწავლებელში სწავლობს. ჩვენ მოვალედ ვრაცხთ ჩვენს თავს ზემოხსენებული წერილის პასუხად, თქვენის გაზეთის საშუალებით, მოვახსენოთ ბ-ნს „არა-ბახველს" შემდეგი:

იმ მცირე შრომისათვის, რომელიც ჩვენ ბახვის სკოლის წარმატებისათვის გაგვიწევია, სრულიად საკმაოს და ამასთან მოულოდნელ ჯილდოს შეიცავს ზემოხსენებული წერილი ბ-ნ „არა-ბახველისა", რომელიც თავის გულწრფელის სურვილებისათვის დიდის მადლობის ღირსია ჩვენის მხრივ. ხოლო, რაც შეეხება ბ-ნის „არა-ბახველის" აზრსა შესახებ ჩვენის ვაჟის აღზრდისა, ეს ჩვენ მეტ პატივისცემად მიგვაჩნია და ამისათვის არ შეგვიძლიან დავეთანხმოთ სიმპატიურ წერილის პატივცემულს ავტორს. ჩვენის აზრით, უსამართლობად და შეუფერებლად მიგვაჩნია, რაც უნდა ნაყოფიერი და სასარგებლო იყოს ჩვენი მცირე მოღვაწეობა, ჩვენის შვილის აღზრდა თვითონ ავიცილოთ და სხვებს ვკისროთ, თუ გინდ ეს სხვები ჩვენი ყოფილი მოსწავლენიც იყვნენ. რა-კია, ღვთის მადლით, აქამდის-კი შევიძლით და ჩვენის შვილების აღზრდა არ შეგვიფერხებია, ვეცდებით, რომ დაწყებული საქმე, მიუხედავად იმისა, რაც უნდა ძნელი გამოდგეს იგი, ჩვენის ჯაფითვე ბოლომდის მივიყვანოთ. ასეთია ჩვენი რწმენა.

დასასრულ, ხელ-ახლა დიდს მადლობას ვუცხადებთ ბ-ნს „არა-ბახველს" მისის გრძნობიერის წერილისათვის.

ბახვის სკოლის მასწავლებლები გ. და ნ. **შარაშიძეები.**

II

უმორჩილესად გთხოვთ, სიმართლის აღსადგენად, ამ ჩემს პასუხს ადგილი დაუთმოთ. ამ წლის „ივერიის" № 24-ში სწერს ვიღაც დ. ქვირილიდგან ახალ ამბად, რომ „ქვირილაში დიდი ხანია წიგნთ-საცავი და სამკითხველო არსებობს, რომლის მეთვალყურეთ მედავითნე ამოურჩევიათ. როდესაც ეს მედავითნე საეკლესიო სამსახურის მოთხოვნილებისამებრ სხვაგან მიდის, სამკითხველო იკეტებაო."

ეს ტყუილია. აბა, დაასახელოს ამ ამბის მომწერმა, სახელდობრ, როდის იყო დაკეტილი სამკითხველო, ან წიგნთ-საცავი? მგონი ჰგონია „სიცრუვის შემთხზველს", რომ სამკითხველო უწესდებოთ სწარმოებდეს და მთელი დღე სამკითხველოს კარები ღია უნდა იყოსო? ძალიან მოტყუებულა. ქვირილის სამკითხველოს წესდებაში სწერია, რომ დილის სრულს ცხრა საათზედ უნდა გაიღოს და ნაშუადღევის სრულს პირველ საათზე დაიკეტოს. მერე ოთხს საათზედ უნდა გაიღოს და საღამოს სრულ რვა საათზე დაიკეტოს,—რაც სისწორით სრულდება ჩემს ხელში. (მე ვარ არჩეული წევრთა საზოგადო კრებისაგან 25 ოქტომბერს 1901 წელს).

მართალია, საეკლესიო სამსახურის გამო წიგნთსაცავს და სამკითხველოში დრო და დრო არ ვიმყოფები ხოლმე, მაგრამ მყავს ისეთი კეთილსაიმედო კაცი, რომელიც ჩემის დარიგებისამებრ ყველაფერს სისწორით ასრულებს.

დარწმუნებული იყოს „სიცრუვის" შემთხზველი, რომ მასზე მეტად თუ არა, ნაკლებად გულშემატკივარი არა ვარ ქვირილის წიგნთ-საცავ-სამკითხველოისა.

ქვირილის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს მეწიგნთსაცავე, მედავითნე **მიხეილ ბარამაშე.**

მადლობის გამოცხადება.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა გულითადს მადლობას უძღვნის კნ. ეკატერინე ბეგთაბეგოვისას, რომლის თაოსნობითაც შეიკრიბა ოცდა ექვსი მან. და სამი შაური და აგრეთვე იმ პირთ რომელთაც ზემოხსენებული ფული შემოსწირეს: ივ. მაღალაშვილი 3 მ., კნ. მაკინე ამირაჯიბისა 1 მ., მაქრო მაღალაშვილი 3 მ., თ. სარდიონ ამირაჯიბი 2 მ., თ. ქაიხოსრო ავალიშვილი 2 მ., თ. სოსიკო თარხნიშვილი 2 მ., კნ. ელენე თარხნიშვილისა 1 მ., თ. ილია იასების ძე თარხნიშვილი 3 მ., კნ. ნინო სარდიონის ასული ამირაჯიბისა 1 მ., კნ. ნატალია გიორგის ასული ამირაჯიბისა 1 მ., № № 1 მ., კნ. კატო ბეგთაბეგიშვილისა 1 მ., თ. სამკო ფალავანდიშვილი 1 მ. თ. ვასო ელიზბარის ძე ბაგრატიონ-დავითაშვილი 1 მ., თავ. დავ. გ. ამირაჯიბი 1 მან., № № 40 კ., № № 1 მ. 75 კ.

სულ 26 მ. 15 კ.

დეპეშა

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

პეტერბურგი. პეტერბურგის უნივერსიტეტის საბჭოს დადგენილების თანახმად წელს 8 თებერვლის წლიური აქტი უნივერსიტეტში არ მოხდება.

5 თებერვალს საზამთრო სასახლის საკონცერტო ზალაში მათ უდიდებულესობათ ჰქონდათ მეოთხე ბალი, რომელზედაც იყვნენ ათასზე მეტნი და მათ შორის ქართველთა დეპუტაციის წარმომადგენელნიც. მათნი უდიდებულესობანი გამობრძანდნენ 9 ს. და 30 წუთ. პირველს საათზე ნიკოლოზის დარბაზში გაიმართა ვახშამი; ვახშამზედ უკრავდა პრეობრაჟენსკის პოლკის ორკესტრი. სამი საათი რომ შესრულდა, მათნი უდიდებულესობანი წაბრძანდნენ მოსასვენებლად.

სიმბირსკი. სახალხო სიფხიზლის საზოგადოების ფულით კორსუნში დაარსდა სახალხო სახლი; შენობა დაუთმო ქალაქმა.

პეშავერი. ქაბულიდგან ცნობები მოდის, რომ უთანხმოება მოხდა ემირსა და მის დედინაცვლის შორის, რომელმაც უნებურად აღიარა ხაბიბულა ტახტის მემკვიდრედ; უმცროს ძმასთანაც არა აქვს ემირს კარგი ძმობა. იმედი არ არის, რომ დაგვირგვინებამ მშვიდობიანად ჩაიაროს.

ეკატერინოსლავი. სახელმწიფო ბანკის განყოფილების მმართველად ნამყოფმა ზახარჩენკომ შარშან მაისში ნებართვა მიიღო მეორე ყოველ დღიურის გაზეთის „ვესტნიკ იუგა"-ს გამოცემისა. ახლა გამოცხადდა, რომ ამ დღეებში გამოვა ეს გაზეთიო.

პეტერბურგი. აქ მოვიდა ვილნის გუბერნატორი ფონ-ვალი.

რუსეთის „წითელის ჯვრის" საზოგადოებას გადაუწყვეტია საქმით დახმარება აღმოუჩინოს შემახის მცხოვრებლებს. პირველ ხანად გადადებულია 25 ათ. მანეთი.

მოსკოვი. საგანგებო მატარებლით მოვიდა ბუხარის ემირი თავისის უფროსის შვილით. ემირს თან მიჰყავს პეტერბურგში 12 ცხენი.

ეისკი. დადგენილ იქმნა გოგოლის გარდაცვალებიდგან 50 წლის შესრულების გამო გამართონ უსასყიდლო სახალხო წარმოდგენა. ამას გარდა, წაიკითხავენ გოგოლის ბიოგრაფიას და ზოგიერთ იმისს თხზულებას.

ოდესა. ექიმის გრებნერის მეცადინეობით სახალხო ჯანმრთელობის დამცველ საზოგადოებასთან შესდგა კომიტეტი ფიზიკურ ვარჯიშობისა და თამაშობის მოსაწყობად.

ვარშავა. რუსეთის ვაჭრობისა და მრეწველობის დამხმარებელ საზოგადოების ვარშავის განყოფილებამ წარუდგინა ფინანსთა სამინისტროს განცხადება იმის შესახებ, რომ ვარშავაში საჭიროა დაარსდეს საკომერციო სასამართლო.

7 თებერვალი

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა უბოძა დროშა ნიკოლოზის საინჟინერო სასწავლებელს. „პრავიტელ. ვესტნიკ"-ში გამოქვეყნებულია უმაღლესი ბრძანება საურთიერთო დაზღვევის დებულების ცვლილების შესახებ. 6 თებერვალს საიმპერატორო საგეოგრაფიო საზოგადოებას სადღესასწაულო კრება ჰქონდა, რომელზედაც შტაბს-კაპიტანმა კაზლოვმა წაიკითხა მოხსენება თავის ტიბეტში მოგზაურობის შესახებ; ეს ექსპედიცია არის გაგრძელება პრჟევალსკის მუშაობისა.

ბელგრადი. მინისტრ-პრეზიდენტი პასუხს იძლევა შეკითხვაზე შესახებ სერბიის და ობრენოვიჩების დინასტიის გაკიცხვისა უცხოეთის გაზეთების მიერ და ამბობს, რომ ზოგიერთა გაზეთების ასეთი მტრული შეხედულობა გამოწვეულია პანსლავიზმის შიშით და იმ სურვილით, რომ არ განვითარდნენ ბალკანეთის დამოუკიდებელი სახელმწიფონი. გაზეთებს ამხედრებას მხარს უჭერენ პრეტენდენტები და ვენაში მცხოვრები სერბიის ყოფილი მინისტრები. ამას ხელს უწყობს სერბიის ოპოზიციაც. უკანასკნელმა შენიშვნამ გამოიწვია ძლიერი პროტესტი ოპოზიციის მხრივ. სკუპშჩინამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც უცხადებს მეფეს და მის სახლს სერბიის ერის ერთგულობას.

ბაქო. დანგრეულ სახლების თხრას კიდევ განაგრძობენ შემახაში, ჯერ იპოვეს 32 ცოცხალი ადამიანი. ძალიან დაზარალდა 34 სოფელი. სოფ. ასტრახანკის ახლოს ვულკანი გაჩნდა. ბაქოს კომიტეტმა დღეს კიდევ გაგზავნა ახალი ტრანსპორტი პურისა და ტანისამოსების. შემახელების გაჭირვება დიდია.

ოდესსა. აღძრულია კერძო კაცის მიერ შუამდგომლობა, რათა ნება დართონ, გახსნას პრაქტიკულ მხატვრობის სახელოსნო სკოლა. ასეთი ორის წლის კურსიანი სკოლები არსებობს გერმანიაში. ოდესაში გაიხსნება პირველი რუსეთში.

არხანგელსკი. ტიტოვკის ახალშენის ახლო ქარიშხალმა გამოაგდო ხუთი ვეშაპი (КИТЪ).

მოსკოვი. აქ ჩამოსულმა ერთმა მანჯურელ კაპიტალისტთაგანმა ინკოუელმა ვაჭარმა მუხანძამ ილაპარაკა, რომ რათა კონკურენცია გაუწიოს ინგლისის და იაპონიის საქონელს, იგი მოელაპარაკა მოსკოველ ფაბრიკანტებს და სავაჭრო სახლებს, რომელნიც დიდის ყურადღებით მოეპყრენ მას, მისცენ ნიმუშები და ყოველგვარი ცნობები. მუხანძას თან მოჰყვა კანტუნის ოლქის მთავრობის განკარგულებით ტამოჟნის მოხელე სოროკინი. მუხანძამ თქვა, რომ ივნისში ჩამოვა რუსეთში რამდენიმე ჩინელი ვაჭარი საქონლების საყიდლადაო..

პეტერბურგის ბირჟა, 4 თებერვალი

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,95
ბერლინში მარკაში 100	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,60
ბერლინში „	46,30
პარიჟში „	37,62½
ბირჟის დისკონტი	5—7%
4% სახელმწიფო რენტა	96⅛ გაყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. სათავ. მამულთ ბანკისა	94½ გაყიდ.
5% 1-ლი შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	472½ გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	379½ მყიდ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სათავ.-მამ. ბანკისა.	287 გაყიდ. (?)
3½% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა	
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	88¾ წვ. გაყ.
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	
5% ტფილ. სათავ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	89¼ გაყ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	
6% ქუთ. სათავ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაიები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. აქციები „	9,800 წვ. გაყ.
„ კასპიის ამხანაგობისა.	
„ ბაქოს ნავთის საზოგად.	
„ ა ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	165 წვ. გაყ.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს. ფრჩხილებს გარეთ—პეტერბურგის საათით).

მატარებელი მიდის **ტფილისიდგან ბათუმში:**

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 7 ს. 54 წ. (8 ს. 52 წ.) ბათუმში ჩავა დილის 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 9 ს. 28 წ. (10. 26 წ.).

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 67 დღის 1 ს. 44 წ. (2 ს 42 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს 38 წ.)

ტფილისიდან ბაქოში:

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, დღის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.), ბაქოში ჩადის ღამის 3 ს. 58 წ. (4 ს. 56 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.), ბაქოში ჩადის დილის 6 ს. 33 წ. (7 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამო 9 ს. 36 წ. (10 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.)

ტფილისიდგან ყარსში:

ფოსტის მატარებელი № 58—59 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღის 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.).

ბათუმიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 4 ღამის 10 ს. 10 წ. 11 ს. 8 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 45 წ. (11 ს. 43 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 58 წ. (9 ს. 56 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 33 წ.) (9 ს. 31 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ოთხშაბათობით ღამის 10 ს. 41 წ. (11 ს 39 წ.) ტფილისში ჩამოდის დღის 12 ს. 47 წ. (1 ს. 45 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 ღამის 12 ს. 2 წ. (1 ს). ტფილისში მოდის, საღამოს 6 ს. 24 წ. (7 ს. 22 წ.

სამგზავრო მატარებელი № 5 დღის 3 ს. 35 წ. (4 ს. 33 წ.) ტფილისში მოდის დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 66 ღამის 1 ს. 50 წ. (2 ს. 48 წ.).

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 60—61 დილის 4 ს. 12 წ. (5 ს., 10 წ. ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 47 წ. [7 ს. 45 წ.).

* * *

განცხადება

განცხადება.

15 თებერვალს, დღის 12 საათზედ, ს. ასკანაში, ასკანის სკოლის დარბაზში დანიშნულია **საზოგადო წლიური კრება** ასკანის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის წევრთა. განსახილველია შემდეგი კითხვები:

1. განხილვა და დამტკიცება 1901 წლის ანგარიშისა, 2. ახალ წევრთა მიღება, 3. არჩევა მუდმივ მზრუნველისა, 4. არჩევა სამის გამგეობის წევრისა და ორის მათის კანდიდატისა, 5. არჩევა ექვსის საბჭოს წევრისა და სამის მათის კანდიდატისა, 6. სესხის აღება სახელმწიფო ბანკისაგან.—

(3—6.—2).

მკურნალი

ნ. ტ. მულინი.

იღებს ყურითა, ყელითა და ცხვირით ავადმყოფებს ყოველ-დღე ნაშუადღევის 1—3 საათამდე და საღამოს 4—8-მდე. სუდებნი 18. (წლ.)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

ამოდის ნათლება, ვაჟა-ფშაველასი	15 კ.
ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძისა	15 „
ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი	5 „
ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა	30 „
აბო ტფილელი, ე. კ.	30 „
Або Тифлисскій, Е. К.	5 „
ამბავი მადლის ქვისა	5 „
აკიდო საყმაწვილო, მოთხრ. ი. გოგებაშვ.	15 „
ათონის ივერიის მონასტრის ხელთ-ნაწერი	1 მ. 50 „
ბერანე, თარგ. გ. გვაზავასი	40 „
ბენია	10 „
ბუნების საოცარი მოვლენანი, ს. ჯუღელისა	15 „
ბაში-აჩუკი, აკაკისა	30 „
ბუნება სურათებში, ი. ალხაზიშვილისა	1 მ. 30 „
გლეხი კაცის ისტორია, III—IV ტ.	1 მ. 20 „
გამზრდელი, აკაკისა	5 „
გასართობი	10 „
გოგებაშვილი იაკობ, ზ. ჭ—სა	15 „
გუსტავ ვაზა	5 „
Грузинскій отрывокъ Калилы и димны, А. Хахановъ	60 „
გიორგი და მიხეილი	10 „
Древный Анчсхатскій соборъ Карбеловъ	20 „
დედა, ანდერსენისა	8 „
დამონებულნი, თარ. თ. სახოკიასი	1 მ. „
დაუჯდომელი წმ. ნინოსი	20 „
Двѣ святыни въ Кахетіи, Е. К.	10 „
Давидъ Гареджели, Е. К.	15 „
ეტიუდები, თ. ხუსკივაძისა	15 „
ელენე, მოთხრობა	5 „
Вступленіе Грузіи въ составъ Росс. имперіи, М. Хелтуплишвили	40 „
Въ Барсовой кожѣ, Мкинвари	1 р. „
ზურაბის კოშკი, ივ. ბ—ლისა.	3 „
Заслуги Грузинскаго монашества, Е. К.	30 „
თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი	1 მ.
თეორია სიტყვიერებისა, კელენჯერიძისა	40 „
თამარ-დედოფლის სამკაული	10 „
თამარ დაზნელი, ან. ფურცელაძისა	50 „
ისტორია ქართულ სტამბის	15 „
იანიჩარი, დ. ნახუცრიშვილის	40 „
კონსპექტები საქართველოს ისტორიიდგან I-II ნაწ. ქუთათელაძისა	60 „
კოპერნიკიდან დარვინამდე	10 „
კანდელი, მ. ლელაშვილის	15 „

ПАРОВАЯ РИСООЧИСТИТЕЛЬНАЯ МЕЛЬНИЦА

„ВОСТОКЪ" въ Баку

Принимаетъ заказы на рисъ всѣхъ сортовъ. Преисъ-куранты и образцы высылаются безплатно.

(10—261—10)

Дозвол. цензурою. Тифлисъ 7-го Февраля 1902 г. გაზეთ „ტფილისის ფურცლისა" და ექვ. ხელაძის სტამბა ლორ.-მელ. ქუჩა. დროებითი რედაქტორი ა. სარაჯიშვილი. გამომცემელი ი. ჭავჭავაძე